№ 12. წელიწადი პირველი

ფასი ყველგან 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F. 221
1929

100

# დროშა

## საქართველოს კომპარტიის (ბ) VI ყრილობის გამო



ამხ. მ. კახიანი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბოლდუინ—ჩემბერლენის აწ უკვე განსვენებული მთავრობა ინგლისის იმპერიალიზმის პოზიციების გასამაგრებლად ინდოეთში მიმართავდა ათასგვარ პროვოკაციას. ინგლისის პოლიციის აგენტებმა იმ მიზნით, რომ ინდოეთის საკანონმდებლო კრება დაეშინებინათ და იძულებული გაეხადათ იგი მიელო კანონი „სახელმწიფოებრივი უშიშროების შესახებ“ (ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული კანონი), ბომბა შეაგდეს საკანონმდებლო კრების შენობაში (ინდოეთის პარლამენტში)და ეს საქმე რევოლიუციონერებს გადააბრალეს.

სურათზე—ზევით: ინდოეთის ნაციონალური კრების შენობა.

ქვევით: ბაგატ-სინტი და დატტი, რომელთაც პოლიცია აბრალებს ბომბის შეგდებას ინდოეთის საკანონმდებლო კრების შენობაში.



პიზის კოშკი (იტალიაშია) აგებული 1174 წელს. ბოლო დროს იხრება გვერდზე. იტალიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, დანგრევას გადაარჩიხოს. ამ ჟამად შექმნილია რამდენიმე კომისია გამოჩენილ ინჟენერებისა და მეცნიერებისაგან, რომელთაც დავალებული აქვთ ნიადაგის შესწავლა კოშკის გარშემო და ღონისძიებების შემუშავება კოშკის საძირკველის გასამაგრებლად



ბერნარდ შოუმ, ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა, გააკეთებინა ხის სახლი, რომელსაც სურვილისამებრ აბრუნებს საითაც მოესურვება. სურათზე--ბერნარდ შოუ თავის სახლს აბრუნებს „პირით მზისკენ“.



მიუხედავათ საფრანგეთის მთავრობის ტერორისა ელზას-ლოტარინგიაში ფართოვდება ავტონომისტური მოძრაობა. რამდენად უფრო ძლიერდება პუანკარეს მთავრობის თავდასხმები ავტონომისტურ მოძრაობაზე, იმდენათ აქტიურ ხასიათს იღებს მოძრაობა ავტონომიის სასარგებლოდ. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა დემონსტრატიულად ირჩევს ავტონომისტებს და პუანკარეს მთავრობა იძულებული ხდება გარეკოს ავტონომისტებისაგან შემდგარი მუნიციპალიტეტები.

სურათზე—ელზასელი ავტონომისტი რ ო ს ი, რომლის არჩევა კოლმარის მუნიციპალიტეტში უკანონოდ გამოაცხადა პუანკარე-ომის მთავრობამ.



აკადემიკოსი ვ. ნ. იპატიევი, მის ცდებს გამოყენებითი ქიმიის ლენინგრადის ინსტიტუტთან არსებულ მაღალი წნევის ლაბორატორიაში არაჩვეულებრივის ინტერესით ადევნებენ თვალყურს არა მარტო საბჭ. კავშირში, არამედ საზღვარ-გარედაც.



ჩარლზ ივონს იუზი კულიჯის ყოფ. მთავრობის საგარეო მინისტრი, რომელიც შეერთებული შტატების წარმომადგენლად დაინიშნა ჰააგის საერთაშორ. ტრიბუნალში.



საბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამმზადებელთა ბანდის მეთაური, რომლის საქმე ახლო ხანში გაირჩევა [illegible]



ინგლ სის საგარეო საქმეთა მინის- [illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 12. 1929 წ. 5 ივლისი

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

# VI ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის VI ყრილობა, რომელიც გაიხსნა მიმდინარე წლის 1-ლ [illegible], ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ყრილობა შეიკრიბა ჩვენი განვითარების იმ პერიოდში, როცა უშუალოდ შევდივართ მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ხანაში, როცა სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის.



მანდატების გაცემა

განვლილი გზა VI ყრილობამდე ხასიათდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მუშაობით ყოველ დარგში. მიუხედავათ იმ უდიდეს სიძნელეთა, რომელიც წინ ელობებოდა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, მან მაინც შესძლო ამ დაბრკოლებათა გადალახვა და ჩვენი ქვეყნის, როგორც ეკონომიური ისე კულტურული განვითარების უზრუნველყოფა.

საქ. კ. პარტიის VI ყრილობა განიხილავს ჩვენი რესპუბლიკის განვითარების ხუთწლიან გეგმას, რომლის პრაქტიკული განხორციელება ნიშნავს მთელი მრეწველობის გენერალურ რეკონსტრუქციას უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე, ინდუსტრიის სწრაფად განვითარებას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას.

სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა, ეს არის გეგმა სოციალიზმის მშენებლობის ჩვენს ქვეყანაში. ის ციფრები, რომლებიც ხუთწლიან გეგმაშია წამოყენებული, წარმოადგენენ არა მშრალ ციფრებს, არამედ გამოხატავენ ჩვენი მეურნეობის ნამდვილ ზრდას, ჩვენი წინსვლის ტემპს სოციალისტური

საქ. კ. პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას, როგორც მთავარ საფრთხეს მიმდინარე ეტაპზე. საქართველოს კომ. პარტია ლენინურ პრინციპების სიწმინდისათვის ბრძოლაში თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მან შესძლო აგრეთვე ბრწყინვალეთ უკუეგდო იერიშები კონტრრევოლიუციონური ტროცკისტული ოპოზიციისა, რომელი ტროცკიზმიც არავითარ სამუა-

პროლეტარიატის დიქტატურა. საქართველოს კომ. პარტია მომავალშიაც ასეთივე სიმტკიცით იბრძოლებს ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ. ეს კი იქნება მისი გამარჯვების საუკეთესო პირობა. ყრილობის დღის წესრიგში სდგას ცკ-ს ანგარიში, საკითხები საქ. სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის, მრეწველობის განვითარების პერსპექტივებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ. ყრილობა განიხილავს ყველა ამ საკითხებს და მიიღებს მათზე სწორ ლენინურ გადაწყვეტილებას, რაიც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვებას.

ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჯერ-ჯერობით უმთავრესად წვრილ გლეხურ მეურნეობის ქვეყანას წარმოადგენს, საქართველოს პირობებში, სადაც საერთო ხასიათის დაბრკოლებებს თან ერთვის ნაციონალური მომენტის სირთულე, სოციალიზმის მშენებლობის საქმე ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალთა მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს. ღრმად გვწამს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობის დადგენილებები, როგორც ყოველთვის, აქტიურ გამოხმაურებას ჰპოვებს ფართო მშრომელ მასების ფენებში და ჩვენი ქვეყანა მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად წარმატებით წავა წინ, ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების გზით, ახალ დიდ გამარჯვებისაკენ.



ჭიათურის მემადაროეთა დელეგაცია, სპეციალურად ჩამოსული ყრილობისათვის მისასალმებლად.

ერთერთ დელეგატს ხელში უჭირავს შავი ქვის გადასაზიდი ვაგონის მოდელი, რომელიც დელეგაციამ ყრილობას უძღვნა.

# კულტურული მშენებლობა და ა.-კ. საბჭოთა მწერლების ამოცანები*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ. კახიანი**

თბილისში, საბჭოთა ამიერ-კავკასიის და საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში, ჩამოვიდნენ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების—საბჭოთა სომხეთის და საბჭოთა აზერბეიჯანის მწერლები, რათა საბჭოთა საქართველოს მწერლებთან ერთად განამტკიცონ ძმური კავშირი და საძირკველი ჩაუყარონ უფრო მჭიდრო გაერთიანებას,—ეს არის არა მარტო დიდი კულტურული მნიშვნელობის ფაქტი, არამედ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტიც.

მწერლები აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში გაემგზავრნენ არა სეირნობისა და ექსკურსიისათვის, არამედ იმისათვის, რომ მოსპონ ის ძველი შუღლი, რომელიც არსებობდა მენშევიზმის, დაშნაკიზმის და მუსავატიზმის დაწყევლილ წლებში. ყველასათვის ცნობილია, რომ ხელოვნება არ არსებობს პოლიტიკის გარეშე, ხელოვნება დაკავშირებულია პოლიტიკასთან, და ამ პოლიტიკურ მომენტზე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა.

ჩვენმა მე-16 პარტკონფერენციამ და საკავშირო საბჭოების მე-5 ყრილობამ დასახეს განვითარების გენერალური ხაზი. მათ გაითვალისწინეს ის გზა, რომლითაც საბჭოთა კავშირი უნდა წავიდეს სოციალიზმისაკენ. მათ შეიმუშავეს დიდი სამუშაოების ხუთწლიანი გეგმა. ამ ხუთწლიან გეგმაში არა უკანასკნელი, არამედ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კულტურული მშენებლობის საკითხებს. ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა. საჭიროა, რომ კულტურულმა რევოლიუციამ ამას ხელი შეუწყოს. საჭიროა მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასების ამოძრავება.

აქ უდიდესი როლი უნდა ითამაშონ კულტურულმა ძალებმა და ამ არმიის ერთ-ერთმა რაზმმა—ამიერ-კავკასიის საბჭოთა მწერლებმა. ჩვენ უნდა გვქონდეს გარკვეული გეზი იმისა, თუ რა უნდა ვაკეთოთ ეხლანდელ მომენტში, მე-16 პარტკონფერენციამ და საბჭოების ყრილობამ სწორად დაახასიათეს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის ძირითადი მომენტები.

ჩვენ ვიმყოფებით გადამწყვეტი ბრძოლების გაშლის წინ საზღვარგარეთ, როცა პროლეტარიატი კონტრშეტევაზე გადავიდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს ის, რომ გამწვავდა ურთიერთობა იმპერიალიზმსა და საბჭოთა კავშირს შორის, გამწვავდა პროლეტარული მასების კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით და უფრო მწვავდება კოლონიალური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმისა და თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თუ გადავხედავთ იმას, რაც ეხლა ევროპაში ხდება, დავინახავთ ამის დამამტკიცებელ საბუთებს. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი ამბები პოლონეთში—პოლონელი ფაშისტების გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როგორც იცით, ამხანაგებო, იმის გამო, რომ ოდესღაც გამოცხადებული იყო მენშევიკური საქართველოს „დამოუკიდებლობა“, კონტრ-რევოლიუციონერმა ემიგრანტ-მენშევიკებმა ეხლახან ვარშავაში გამართეს „ქართული ზეიმი“. ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას არ მივცემდით, რომ იქ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ბალ-მასკარადი გამართულიყო. ყველას შეუძლია იცეკვოს. ვინმე გოლუვკოს შეუძლია ფ.ოკსტროტი ან პოლონური მაზურკა იცეკვოს თუნდაც ნოე ჟორდანიასთან, ჩვენ ამის გამო არავის ვედავებით. მაგრამ აქ ლაპარაკი იყო საბჭოთა საქართველოს გამოყოფაზე საბჭოთა კავშირ დან. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ამის გამო. პოლონეთის წარმომადგენლებმა ამის



ამხ. მ. კახიანი

საპასუხოდ სთქვეს, რომ არ შეიძლება „პოლონეთის შინაურ საქმეებში“ ჩარევა. ეს კი მეტისმეტია. მეტად დამახასიათებელია, რომ ამგვარი გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხდება სწორედ მაშინ, როცა ისინი თავიანთ ქვეყანაში არბევენ ებრაელებს; „განათლებული“ პოლონელი სტუდენტები ლვოვში ძარცვავენ და არბევენ ებრაელ მოქალაქეებს. მათ ალბად, სურთ გვასწავლონ ჭკუა, მაგრამ ჩვენ უნდა უთხრათ—კეთილი ინებეთ და თქვენთვის შეინახეთ ეგ ბარბაროსული, კაპიტალისტური წესები, ჩვენ არ გვესაჭიროება ასეთი წესები, ჩვენი წესები სულ სხვანაირია. როცა იქ ასეთი საძაგელი ამბები ხდება, და სტუდენტები, ალბად, პროფესურის ლოცვა-კურთხევით აწყობენ ასეთ რბევას, სწორედ ამ დროს ჩვენს პროფესურას, საქართველოს სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესურას გამოაქვს თავისი მკაცრი პროტესტი ასეთი ბარბაროსობის წინააღმდეგ. ეს მოწმობს იმას, რომ ქართველი პროფესურა, თუმცა ნელა, მაგრამ მტკიცედ იბრუნებს პირს ჩვენსკენ. ეს გარემოება არ უნდა დარჩეს შეუნიშნავი. სტიქიურად გამართულ მიტინგებსა და კრებებზე მუშები და გლეხები ყველა ფაბრიკიდან და ქარხნიდან, საქართველოს ყველა სოფლიდან, ათასობით და ათი ათასობით აცხადებენ, რომ პოლონელმა ფაშისტებმა თავი აიშვეს, რომ ისინი ძალიან თავხედურად მოქმედებენ. გაზეთებში შეიძლიათ წაიკითხოთ არა მარტო იმის შესახებ, რომ მათ სურთ ხელთ იგდონ საბჭოთა საქართველო, არამედ იმის შესახებაც, რომ მათ ძალიან მოსწონთ ბაქო-ბათუმის ნავთსადენი. პოლონელი ფაშისტები გაზეთებში სწერენ, რომ თუ ეს ნავთსადენი ხელთ ჩავიგდეთ, ეს იქნება სწორედ ის ხიდი, რომლითაც ევროპას შევაერთებთ აზიასთანო. მაგრამ ჩვენ უნდა ვუთხრათ ფაშისტებს და ვფიქრობ ამას დაეთანხმება ამიერ-კავკასიის ყველა სინდისიერი საბჭოთა მწერალი: ჩვენ არ ვართ სისხლის მსმელნი, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება გადასჭრას ეს ნავთსადენი, გადასჭრას ეს ჩვენი ნავთის არტერია, ჩვენ მას ყელს გამოვსჭრით.

გადავიდეთ იმ ამოცანებზე, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე საბჭოთა ქვეყნის შიგნით. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, უნდა მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, ინდუსტრიალიზაციის ტემპის შეუსუსტებლად. ამისათვის საჭიროა ახალი ხალხი. ამისათვის საჭირონი არიან მწერლები, რომელნიც თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ამ ახალ ყოფაცხოვრებას და ახალ ხალხს. აქ ჩვენ უნდა შევეხოთ იმას, თუ რა პოლიტიკას უნდა ვანხორციელებდეთ.

პირველ ყოვლისა, მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ეროვნული პოლიტიკის შესახებ ამიერ-კავკასიაში. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიაში დამყარდა მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა, აღარ არის წინანდელი შუღლი და მტრობა,—ეს არ მოსწონთ განსვენებულებს დაშნაკებს, მენშევიკებს, მუსავატელებს. ამ ცოტა ხნის წინად მე ამაზე მომიხდა ლაპარაკი სომხეთის კომპარტიის ყრილობაზე და როცა აღვნიშნე, რომ ჩვენში სრული ეროვნული მშვიდობიანობა არის, ეს არ მოეწონათ დაშნაკელებს და აი მათ ჩემი 15 წუთიანი სიტყვის შემდეგ საშინელი ხმაურობა და განგაში ასტეხეს. სწერენ, რომ გამოვიდა ბოლშევიკების წარმომადგენელი და განაცხადა ის, რაც სრულებით არ შეეფერება სინამდვილესო. დაშნაკურ პრესას ვერ მოუსვენია, დაშნაკური ფინიები განუწყვეტლივ ჰყეფენ. აი რას სწერენ ისინი: „ფაქტების გადამახინჯებით და უხეში დემაგოგიით კახიანი თავის სიტყვაში ცდილობდა დაერწმუნებია თავისი სომეხი ამხანაგები და მათი საშუალებით მთელი სომხეთის ხალხი, რომ ამიერ-კავკასიაში აღარ არის ეროვნული დავა, რომ ეროვნული უმცირესობანი ფართო უფლებებით სარგებლობენ, რომ სომეხი, ქართველი და თურქი ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობენ და რომ დაშნაკური პრესის და, კერძოდ, „დროშაკ“-ის კრიტიკა არ შეეფერება საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

კახიანს რომ მხედველობაში ჰქონოდა ჩვენი პატარა სამშობლო, ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა იქ და, საერთოდ, ეროვნული ურთიერთობა, მაშინ შეიძლება ჩვენ არაფერი გვეთქვა, ვინაიდან მართლაც მთელს ამიერ-კავკასიაში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც ეროვნული უმცირესობანი ისე კმაყოფილი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით, როგორც სომხეთში.

მაგრამ განა ასეთივე მდგომარეობაა სომხეთის გარედ, კერძოდ, საქართველოში და აზერბეიჯანში, სადაც ცხოვრობს 600,000 სომეხი, რომელთაც წართმეული აქვთ ყოველგვარი პოლიტიკური, ეკონომიური და თვით ელემენტარული კულტურული უფლებებიც კი“.

თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რა ახასიათებს ამ ნაციონალისტებს, რომელთაც სურთ ეროვნული შუღლისა და შოვინიზმის გაღვივება. სა-

*) ამხ. კახიანის სიტყვიდან, რომელიც წარმოსთქვა რუსთაველის თეატრში საქ. აზერ. და სომხ. საბჭოთა მწერლების საზეიმო სხდომაზე.

მეხი კომუნისტების შესახებ დაშნაკელები ამბობდნენ, რომ ისინი ცუდი კომუნისტები არიან, ვინაიდან პირველ ყოვლისა, ისინი არიან კომუნისტები, ხოლო სამშობლოს სიყვარულს მათ გულში მეორე ადგილი უჭირავს. ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ეს მეტად კარგია, ვინაიდან კომუნისტი პირველ ყოვლისა, უნდა იყოს კომუნისტი, ხოლო შემდეგ უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ ეროვნებას. როცა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სომეხმა კომუნისტებმა აღადგინეს მიწასთან გასწორებული ქვეყანა, რომ მათ იგი „ცრემლების ველი“-დან გადააქციეს სილამაზისა და სიხარულის წყაროდ, ამაზე განსვენებულმა დაშნაკებმა ვერაფერი ვერ მიპასუხეს. ის, რომ ჩვენში შენდება ზაჰესი, რიონჰესი, ძორაჰესი, რომ არის აზერბეიჯანის ნავთი, საქართველოს მარგანეცი და სომხეთის სპილენძი—ყველაფერი ეს ამიერ-კავკასიის მშრომელთა საკუთრებაა, და ვერავითარი მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ვერ შესძლებენ ჩვენი ქვეყნების ერთმანეთისაგან ჩამოშორებას. რამდენიც დრო გადის, იმდენად უფრო მტკიცდება ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკური, სამეურნეო და ეხლა აგრეთვე კულტურული გაერთიანება. თქვენი საქმე კი, ბატონებო, გათავებულია, თქვენ გაგაძევეს აქედან და ვერც დაბრუნდებით ვერასოდეს.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ იმ შოვინიზმს, რომლის მიზანია ამიერ-კავკასიის ერების ერთი მეორისაგან დაშორება.

როცა ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა შევქმნათ და განვავითაროთ ნამდვილი საბჭოთა კულტურა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ დეფექტებიც. ჩვენ უნდა შევქმნათ პროლეტარული კულტურა. ნუ გაიგებენ ამას ისე, თითქოს ჩვენ უარვყოფთ ეროვნულ კულტურას. საჭიროა თავისი ყოფაცხოვრების, თავისებურების ასახვა, მაგრამ ამ ფორმით ეროვნულ კულტურაში შეტანილ უნდა იქნას კლასობრივი, პროლეტარული შინაარსი. ამჟამად, როცა ჩვენ უშუალოდ ვიწყებთ კაპიტალიზმის ფესვების ამოფხვრას ჩვენს ქვეყანაში, აქ საჭიროა გარკვეული გეზი ლიტერატურაში და ხელოვნების ყველა სხვა დარგში. ეროვნული კულტურის ლოზუნგის განხორციელების საქმეში, უეჭველია ადგილი აქვს გადამახინჯებას და ხაზის გამრუდებას როცა, მაგალითად, პოეზიაში ან პროზაში ლაპარაკობენ ტიფეებზე ან წარჩინებულ წინაპრებზე,—ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა ოპერაში გაისმის ზარის რეკა და ლოცვები,—ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა ხუროთმოძღვრებაში ცდილობენ რაღაც ძველის შექმნას და აგებენ რაღაც კოშკებს, ძველებურ ეკლესიებს, სადაც ვერ შეაღწევს სინათლის შუქი,—ეს არ არის ეროვნული კულტურა. როცა კოლექტივების შესახებ სწერენ დაცინვით, ხოლო შეძლებულ გლეხებს, კულაკებს, ქება-დიდებას ასხამენ,—ეს არ არის ეროვნული კულტურა, როცა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა არ არის სწორედ ასახული და ამის ნაცვლად პიესებში ვხედავთ საბჭოთა წარმომადგენლების აბუჩად აგდებას და დაცინვას,—ეს არ არის ეროვნული კულტურა. ჩვენ ასეთი კულტურა არ გვესაჭიროება. ჩვენთვის საჭიროა ისეთი კულტურა, რომელიც შეაიარაღებს მშრომელთ, განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას. ჩვენ მოუწოდებთ საბჭოთა მწერლებს—ასახონ ის, რაც ხდება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში.

მე ვფიქრობ, თუ მწერლები ასახავენ ამას, ისინი ხელს შეუწყობენ ნამდვილი ინტერნაციონალური კულტურის შექმნას, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ დღეს საჭიროა სწორედ ასეთი კულტურა. ამჟამად, როცა ჩვენ გაშლილი ფრონტით ვაწარმოებთ შეტევას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, ჩვენი მწერლობა. ხელოვნების ყველა დარგი უნდა სცდილობდეს ასახოს ეს ბრძოლა ნეპმანის და კულაკის წინააღმდეგ, ბიუროკრატის წინააღმდეგ, ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მემარჯვენე, ბურჟუაზიულ საფრთხეზე, ამას ადგილი აქვს ლიტერატურაშიაც. საჭიროა თვალყური ვადევნოთ ამას. აქ პროლეტარული მწერლების ორგანიზაციები ფხიზლად უნდა იდგნენ სადარაჯოზე და საბჭოთა მწერლების კავშირში ჰეგემონის როლი აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეთ პროლეტარულ მწერლებს. ეს ამოცანა სავსებით ნათელი და გარკვეულია. ის, რაც აქ კეთდება დღეს, მართლაც უდიდესი საქმეა.

გამოვსთქვამ რწმენას რომ ის კულტურული კავშირი, რომელიც დღეს იქმნება მთელ ამიერ-კავკასიის მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს შორის, საფუძვლად დაედება ამ.-კავკასიის კულტურული ძალების შემდგომ ძმურ ინტერნაციონალურ გაერთიანებას. იგი (ეს კავშირი) ასახავს ჩვენი ცხოვრების შენებას, ასახავს იმ გიგანტურ მუშაობას, რომელიც სწარმოებს ჩვენს საბჭოთა კავშირში, და ამით ხელს შეუწყობს ჩვენ საქმეს, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების საქმეს, ლენინის საქმეს.



საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის საბჭოთა მწერლების დელეგაციები სომხეთში, „სარდარის“ სახ. მამულში.

# კულტურული კავშირისათვის

(საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია სომხეთში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შალვა რადიანი

მრავალი წლის განმავლობაში მეფის თვითმპყრობელობა და მისი მოხელეები ერთმანეთის წინააღმდეგ რაზმავდენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ხალხს; ისინი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის გაუვალ ზღვარის დადებას ცდილობდენ. ასეთი პოლიტიკის მეოხებით თვითმპყრობელობამ ამიერ-კავკასია ძმათა შორის სისხლის ღვრის ასპარეზათ გადააქცია.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორებულმა მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა, „ღირსეულად“ განაგრძეს ამიერ-კავკასიაში თვითმპყრობელობის გზა: ერთმანეთის სიძულვილის, მტრობის და სისხლის ღვრის პოლიტიკა.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა შეერთებული ძალით და ხანგრძლივი ბრძოლით დაეცა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების შოვინისტური ხელისუფლება.

მხოლოდ კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობის დაცემის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი ამიერ-კავკასიის ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარება.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობაზე საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომ ამ გზით შეერთებულად ემუშავნათ ქვეყნის აღდგენისა და სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

ამიერ-კავკასიის შემდგომი წარმატება და გამარჯვება მოითხოვს ჩვენგან არა მარტო სამეურნეო და პოლიტიკურ მტკიცე კავშირს, არამედ კულტურულ დაკავშირებასაც, შეერთებულის ძალით მუშაობას ახალი კულტურის შექმნისათვის.

მხატვრულ ლიტერატურას, ხელოვნებას, ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება.

ყოველივე ეს კარგათ ქონდა გათვალისწინებული ჩვენს საბჭოთა მწერლებს, როდესაც ისინი გაემგზავრენ სომხეთში.

5 ივნისს, საღამოს, დაიძრა საქართველოს და ადერბეიჯანის მწერლების დელეგაციების მატარებელი სომხეთისაკენ.

ქართველ მწერალთა დელეგაციაში შედიოდა: გ. რობაქიძე, (დელეგაციის თავმჯდომარე), შ. რადიანი, (დელეგაციის მდივანი), ტ. ტაბიძე, ნიკ. მიწიშვილი, მ. ჯავახიშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, არ. ჭუმბაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი, ს. ეული, პ. სამსონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. ვაკელი, და არაზი

6 ივნისს დილის 6 საათზე, კარაკლისში ჩავიდნენ საქართველოს და ადერბეიჯანის მწერალთა დელეგაციები, სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის მთავრობის, მწერლების და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სომხეთის მთავრობის სახელით დელეგაციებს მიესალმა ამხ. ეგიაზაროვი. სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა—ალაზანმა.

საპასუხო მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს მწერალთა დელეგაციის სახელით — გრ. რობაქიძემ და აზერბეიჯანის მწერლებისაგან ახვერდოვმა.

8 საათზე სტუმრები ავტომობილით გაემგზავრენ ერევნისაკენ. დელეგაციები შეჩერდენ დელიჟანში, სევანის ტბასთან და სხვ. დელეგაციების შეხვედრამ მიიღო დღესასწაულის ხასიათი. დელიჟანში და გასავლელ გზის მახლობელ სოფელში ეწყობოდა მიტინგები, რომელზედაც თავმოყრილი ადგილობრივი გლეხობა და მოსწავლე ახალგაზრდობა ესალმებოდა დელეგაციებს ტბაზე სტუმრებისათვის მოაწყეს გასეირნება მახლობელ კუნძულზე, სადაც დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ძველი ისტორიული ნაშთები.

საღამოს 8 საათზე დელეგაციები ჩავიდენ ერევანში. ქალაქი სადღესასწაულოთ არის მორთული. მთავარ ქუჩებში გამოფენილია პლაკატები მისასალმებელი ლოზუნგებით.

კარაკლისიდან ერევანში მისვლამდე დელეგაციები ეცნობოდენ აღმშენებლობას, რომელიც ფართედ წარმოებს სომხეთში დელიჟანზე გასვლისას დელეგაციებმა დაათვალიერეს სახლები, სანატორიუმები, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები, სევანის ტბაზე მოწყობილ თევზის სარეწაოები და სხვა.



**საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის საბჭოთა მწერლების დელეგაცია ამხ. შალვა ელიავასთან.**

7 ივნის დელეგაციები ერევანში ესტუმრენ კულტურის სახლს, სომხეთის ერევნულ სამხატვრო გალერეიას, არქეოლოგიურ მუზეუმს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგური და ქალაქში დაწყებული ახალი საბინაო მშენებლობა.

კულტურული შეკავშირების საღამო, რომელიც გაიმართა 7 ივნისს კულტურის სახლის დარბაზში, გახსნა განათლების სახალხო კომისარმა ამხ. მრავიანმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ამიერ-კავკასიისეროვნებათა შეკავშირების საქმეს შეეწირა მრავალი ასი მებრძოლის სიცოცხლე: ამიერ-კავკასიის ეროვნებათა კავშირი დღეს ფაქტია, ამ კავშირის განმტკიცებას ხელს უწყობენ ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორც არის ზაჰესი, ძორაჰესი და მრავალი სხვა საწარმოო. ამიერ-კავკასია გადაიქცა მთლიან სამეურნეო და პოლიტიკურ ერთეულად. ათი წელიწადია, რაც კავკასიის მშრომელნი ხელი-ხელ ჩაკიდებული ეწევიან სოციალისტურ მშენებლობას. სწორედ ამ ძმური თანამშრომლობის შედეგია, რომ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მწერლები ალაპარაკდნენ იმავე ენით, რომელზედაც მრავალი წლის განმავლობაში საუბრობდენ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონერები და მშრომელი მასები. კულტურული რევოლიუციის პერიოდში დიდი გამარჯვებაა, რომ ამიერ-კავკასიის მწერლები ერთად შეკრებილნი, ისე გრძნობდენ თავს, როგორც საერთო ოჯახში, ისინი კულტურულ ფრონტზე მზად არიან აკეთონ იგივე საქმე, რომელსაც აკეთებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია. ეს კი თავდებია იმისა, რომ ამიერ-კავკასიის მწერლობა, ხელოვნების სხვა მუშაკებთან ერთად, შექმნის ახალ კულტურას, ფორმით ნაციონალურს, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალურს.

შემდეგ გამოვიდა დერენიკ დემირჩიანი, რომელიც დელეგაციებს მიესალმა სომხეთის საბჭოთა მწერლების სახელით:

„ადერბეიჯანის და საქართველოს მწერალთა დელეგაციების ჩამოსვლა,—განაცხადა მან,—განხორციელებაა მშრომელი მასების ნებისყოფის, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ეს პოლიტიკური და სამეურნეო მთლიანობა უნდა დაგვირგვინდეს კულტურული გაერთიანებით.

შემდეგ ილაპარაკა პროლეტარული მწერლების ასოციაციის მდივანმა აზატ ვშტუნიმ.

საქართველოს დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გრ. რობაქიძემ, ადერბეიჯანის დელეგაციის სახელით ახვერდოვმა.

კულტურული დაახლოვების საღამო დამთავრდა სიმფონიური კონცერტით და ეტნოგრაფიული ცეკვით, რამაც დელეგაციაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

9 ივნისს, კვირას, დელეგაციები გაემგზავრენ ვაღარშაპატში, დაათვალიერეს ეჩმიაძინში კოლექტიური მეურნეობა „ანასტვაც“, ცხენოსანი პოლკი, ეჩმიაძინის ბიბლიოთეკა და ძველი ზვარტნოცის ნანგრევები.

კოლექტიურ მეურნეობის ეზოში ახლო-მახლო სოფლების გლეხობის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მოწაფეთა მონაწილეობით, გაიმართა მიტინგი, რომელიც აღფრთოვანებით მიესალმა დელეგაციებს.

ცხენოსანმა პოლკმა დელეგაციის პატივსაცემად გამართა ალლუმი, რომელსაც დელეგაციის სახელით მხურვალე სიტყვებით მიესალმენ სანდრო ეული და სანლი. ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მწერლებზე წითელარმიელთა სამხედრო ვარჯიშობამ, დოღმა, კულტურულმა დონემ და ყოფა-ცხოვრების პირობებმა.

10 ივნისს სომხეთის კომპარტიის (ბ) ც.კ-თან შესდგა თათბირი, რომელმაც ჯამი გაუკეთა დელეგაციის ერთი კვირის მუშაობას და შეიმუშავა მომავალი კულტურული თანამშრომლობის პლატფორმა. 9 ივნისს დელეგაციები ლენინაკანში გაემგზავრენ.

11 ივნისს ლენინაკანში ჩამოსულ მწერალთა დელეგაციას შეხვდნენ პარტიის, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა მოსახლეობის წარმომადგენელნი. შეხვედრა გრანდიოზული იყო. ორგანიზაციების და მშრომელი მოსახლეობის სახელით დელეგაციას მიესალმა საბჭოს თავმჯდომარე ანანიანი და პარტკომის მდივანი მაკედონსკი. მხურვალე საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს ეულმა, შანშიაშვილმა, რუსტემ სანლიმ. საღამოს გაიმართა საბჭოს საზეიმო სხდომა. დელეგაციის მხრივ გამოსულ რობაქიძეს, ახვერდოვს, აგრეთვე დულს და ეფენდიევს შეეგებნენ ხანგრძლივი ტაშით, რომელიც მქუხარე ოვაციათ გადაიქცა წითელი არმიის მისალმების საპასუხოდ მიწიშვილმა აცნობა კრებას საქართველოს დელეგაციის გადაწყვეტილება, რომ ის კისრულობს შეფობას იმ ცხენოსან ნაწილზე, რომელმაც დელეგაციის პატივსაცემად ეჩმიაძინში მოაწყო ალლუმი. ამ ცნობამ აუდიტორიის უდიდესი აღტაცება გამოიწვია.

დელეგაცია აღტაცებულია საბჭოთა სომხეთით, რომელიც აღორძინების გზაზე დგას და რომელმაც გასაბჭოების შემდეგ შექმნა გრანდიოზული საფეიქრო ფაბრიკა, მძლავრი ჰიდროსადგური, მრავალი სხვა საწარმო და ახალი ლამაზი სახლები.

სომხეთის სოციალისტური აღმშენებლობის და მშრომელთა სტუმართმოყვარეობით მოხიბლული დელეგაცია, სომხეთის მწერლებთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა.

საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის მწერლების ეს შეხვედრა უნდა გახდეს საწინდარი კულტურის სფეროში მომუშავე მოწინავე საბჭოთა ძალების დაახლოვებისა და დაკავშირების და შოვინისტურ ნაციონალურ მიდრეკილების წინააღმდეგ ბრძოლის.

**პეტრე სამსონიძე**

# გამბედაობა, ძმებო!

(საქ. კომპარტიის ყრილობას)

გამბედაობა, ძმებო,
გამბედაობა დიდი—
უნდა გავაძლიეროთ—
გული—მომავლის ხიდი.

გვწამს გაიმარჯვებთ, რადგან
კლდენი ვართ ძალოვანი
ძარღვებში ცეცხლი დგას და,
ცეცხლია ქაროვანი.

აუჰ, რამდენი სისხლი
დაუღვრია ჩვენს ძარღვებს,
რომ გადერეკათ ნისლი
კაცობრიობის ცაზე.

უჰ, რამდენი ძვლებით
მოგვიკენჭია გზები,
რომ დაგვემარხა ძველი
ქვეყანა ამაზრენი.

აუჰ, რამდენი ტყვიას
ჩვენ შევხვედრივართ მკერდით,
რომ ძველს ქვეყანას ტიალს
რგებოდა თავის ხვედრი.

აუჰ, რამდენი ცრემლი
დენილა დის და დედის,
რომ გადაგვეწვა ცეცხლით
ქვეყანა-ტანჯვის, სევდის.

გამბედაობა, ძმებო,
გამბედაობა დიდი
გული გავაძლიეროთ,
გული—მომავლის ხიდი.

ბოლშევიკები ხომ ვართ,
ძველი მებრძოლნი ხომ ვართ?!
მაშ, რას დაგვაკლებს, შეგვხვდეს
დაბრკოლებათა ხროვა.

ერთხელ აღებულ გზით
წავიდეთ წინ და ისე
ვიაროთ იმ აღგზნებით,
რითაც მივაღწევთ მიზნებს.

# პირველი ტრაქტორი

**სანდრო შანშიაშვილი**

სოფელ ერეთიანის მცხოვრებს, დიდს თუ პატარას, სამართველოს წინ თავი მოეყარა.

იყო ჟრიამული. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდენ.

ალმასკომის თავმჯდომარე თბილისიდან დაბრუნდა და რაღაც კარგი ამბავი მოიტანა.

ერთი ახალუხიანი ქოჩორა ბიჭი ყვიროდა:

— კაცო, გაგვაგებინეთ, მართლა მოდის, თუ გვეხუმრებით!?

— მოდის, მოდის! ოსტატიც თან მოსდევს...

სოფელ ერეთში ერთი წელია კოლმეურნეობა დაარსდა. პირველ ხანში ამ კავშირს ყველა ეჭვის თვალით უცქეროდა. მხოლოდ რამდენიმე მოწინავე გლეხს სჯეროდა, რომ შეკავშირებული ძალით მათი შრომა უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებდა, თორემ უმრავლესობას კოლმეურნეობის დაარსება ღლიურ გართობად მიაჩნდა.

და თუ კოლმეურნეობაში წევრებად ეწერებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მატერიალური დაპირება იყო ადგილობრივ სამეურნეო ბანკიდან და მიწათა კომიტეტიდან: გრძელვადიან სესხის, საუკეთესო მიწების და სამეურნეო იარაღის.

თვითეული გლეხი ფიქრობდა: ჩავეწერები, თუ ივარგა, ხომ კარგი, თუ არა და, რას დავკარგავ, თუ არ შევიმატებო!

ერთის წლის განმავლობაში ჩაეწერა სამოცამდე საშუალო და ულარიბესი გლეხი.

თავმჯდომარედ აგრონომი ჰყავდათ, თბილისიდან ჩასული, დიდათ ენერგიული, სახელად დავით.

ამ აგრონომმა ისე კარგად წაიყვანა კოლმეურნეობის საქმე, რომ აუარებელი თხოვნა შედიოდა: წევრად მიმიღეთო. თითქმის მთელი სოფელი მოხრე იყო შექმნათ ერთი მთლიანი კოლმეურნეობა.

განზე უმცირესობა-ღა რჩებოდა და ამ უმცირესობას შეადგენდა ბობოლა გლეხები, რომლებსაც ჰქონდათ კარგად მოწყობილი საკუთარი მეურნეობა.

# ეკლესიის მაგიერ სამკითხველო



სოფ. გეზეთის (სენაკის მაზრა) მშრომელმა გლეხობამ ეკლესიის შენობა სამკითხველოდ გადააკეთა. სურათზე—სამკითხველოს საზეიმო გახსნა.



სურათზე—სოფ. გეზეთის გლეხები—60-80 წლის მოხუცთა ჯგუფი, რომელთა თაოსნობით მოხდა ეკლესიის გადაკეთება სამკითხველოდ.

ამ ბოლოს გლეხებს მეთაურობდა ოჯახიშვილი ანჯიქო. მუდამ წყალს ამღვრევდა და ცდილობდა დაერღვია ბოგანო გლეხების კავშირი.

ანჯიქო უკვე ჭაღარა შერეული იყო. თავისი სიცოცხლე ისე გაეტარებია, რომ არც ვენახში, არც მინდვრად ჯაფა არ დასდგომია.

ყოველ თავის საქმეს, ზამთარსა, თუ ზაფხულში დაქირავებულ მუშას აკეთებინებდა.

თვითონ ჩეროს ქვეშ იწვა, ან ეძინა, ან ჩიბუხს აბოლებდა და ან კრიალოსანს ათამაშებდა.

მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობა დაარსდა, ანჯიქოს ცხოვრება გაუმწარდა. ქირით მუშას ველარ შოულობდა.

და თუ იქირავებდა, ერთი სამად მეტი ფასი უნდა მიეცა, რვა საათი ემუშავებინა და თუ თვეზე მეტს ამუშავებდა, უნდა დაეზღვია — ერთი სიტყვით, გამწარდა ანჯიქოს სიცოცხლე.

ამას ზედ დაუმატეთ, რომ ანჯიქოს ხმა წაართვეს, როგორც დაქირავებულ შრომით მაცხოვრებელს—აღარც რამეს ეკითხებოდნენ, აღარც კრებაზე იწვევდნენ, იყო გარიყული.

ძველად სოფელში პირველი ადამიანი და ყველასაგან პატივცემული, ყველა მის ხელში შემყურე, დღეს აღარც უკანასკნელი იყო და გულით გამარჯობასაც აღარ ეუბნებოდენ.

ამიტომ იყო, რომ ანჯიქოს ვერ მოენელებინა „რაღაც კოლმეურნეობა“ და თუ კი შემთხვევა მიეცემოდა, გაჰკილავდა, დაამცირებდა.

— შენ მუშაობ, სხვა სჭამს, სხვის ოჯახს არჩენ, ეგ რა ამხანაგობაა? ეგ გამოვიდა ბატონ-ყმობა, რომ ერთი იჯდეს და მეორემ მისთვის იშრომოს და არჩინოს! ეს პრეზიდიუმიო, ეს თავჯდომარეო, ეს გამგეო, ყველა უფროსია და ყველას რჩენა უნდა! მერეც, დღეს ერთი ხდება ავად, ხვალ მეორე, სულ განგებ—რა არის, ის შინ იჯდეს და შენ იმის მაგიერ იმუშავო. ეს არის თქვენი კოლმეურხეობა? ეს არის კავშირი?

ანჯიქო ასეთს შხამს სთესავდა, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა და რომელიმე პარტიული ყურს არ უგდებდა.

დღესაც გამოსულიყო ანჯიქო და თავის ამხანაგებს, შეძლებულ გლეხებს, ელაპარაკებოდა:

— როცა მაგათ ტრაქტორით ჩვენი ყამირი მოხსნან, დიდი მაშინ დაიკვეხონ! ეგ წუკიები ისევ ჩვენი სინაზარა გახდებიან, და, როცა მოვლენ და შემეხვეწებიან:

— „ანჯიქო, გვიშველეო“, მაშინ მე მაგათ ფეხს დავადგამ—არამზადები, ისე გათამამდნენ, რომ ხეირიანს გამარჯობასაც აღარ მეუბნებიან—მაგათი ყველაყისამ, ეგ არის გადახნეს, დათესეს, და ბეღლები ხორბლით აავსეს. აცა, თუ ეგ ტრაქტორი ჭაობში არ ჩაეფლოს და მერე, იოველ, შენ უშველე შენი შავი კამეჩებით—სიცილით ეუბნებოდა გვერდზე მდგომს, თავჩაქინდრულს გლეხს იოველს.

— ტყუილად მოაქვთ ეგ ტრაქტორი! ვერ მოიხმარებენ! მაგაში მიცემული ფული გადაყრილია, მაგრამ მაგათ რა ენაღვლებათ, ბანკი ახარჯებთ და ბოლოს ვალს გაისტუმრებენ, თუ არა, ფეხებზე ჰკიდიათ! — კვერს უკრავდა თავჩაქინდრული იოველი, ჯოხს მიწაზე სცემდა და თან ხმის აწევით განაგრძობდა:

— საბოლაოს არავინ ფიქრობს, საშვილიშვილოს არავინ ეძებს! ყველას გაკვრა-გაგლეჯაზე უჭირავს თვალი—დღეს კი ერთი გაინავარდონ და შემდეგ ამ ბანკის ვალს გაისტუმრებენ, თუ არა—გეუბნები, ფეხებზე ჰკიდიათ მეთქი.

იოველს კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, რომ ამ დროს ლურჯ-ხალათა ბიჭმა, რომელიც კანცელარიის მოაჯირზე შემდგარიყო და გზისაკენ იცქირებოდა, უცბად წამოიძახა:

— მოდის! მოდის!

ხალხი ერთმანეთს ეცა. ყველამ მოაჯირისკენ მიაშურა. რამდენიმე პატარა ბავშვი ატირდა, რადგან ამ მიწყვიტებაში ფეხი დაადგეს.

ზოგი ხეზე ავიდა.

ზოგი კანცელარიის სახიხზე.

ყველანი მოუთმენლობით სავსენი გზისკენ იცქირებოდნეხ.

შორს ისმოდა გუგუნი.

— აგერ, გამოჩნდა!

— ეგ არის ტრაქტორი?

— ეგ არის! ეგ არის!

— წავიდეთ, წინ შევხვდეთ!..

სთქვეს აქეთ-იქიდან და ხალხი ერთბაშად აივნიდან დაბლა კიბეზე დაეშვა. ერთმანეთს აწვებოდნენ და გორდებოდნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც ფუტკრის ჟოლი თავის დედას მისდევს, ისე ეს ხალხი ალმასკომის თავმჯდომარეს მისდევდა და ზოგიც წინ უსწრებდა.

ქალები ბავშვებით ხელში უკან არ რჩებოდნენ.

იყო ჟივილ-ხივილი და სიხარული. ანჯიქო და იოველი ისევ ხის ძირას ქვაზე ისხდნენ, ერთმანეთს უსიტყვოდ უცქერდნენ.

ბოლოს ანჯიქომ სიჩუმე დაარღვია:

— ალილო და ხვალეო! ვნახავ, როგორ მოხნავენ იმ ჩვენს ჯაგიანს—ჩიბუხი მოსწია, ერთი გადააფურთხა და ხუსხუსით თავის სახლისკენ წავიდა.

იოველმა თვალი გააყოლა. ისიც წამოდგა და უკან დაედევნა.

— ანჯიქო! საით? ჩემთან წამო სადილათ, დეკეულის ხორცი მაქვს...

— არა! არ მინდა! ჩემი გუთანი უნდა გავამზადო და ხვალ მაგათ ტრაქტორს გავუჯიბრო...

— მოასწრობ! მოასწრობ! მე ვიცი, ბენზინი დაგჭირდება... წამო ჩემთან სადილად! მაგათი ტრაქტორის შესანდობარი დავლიოთ.

ანჯიქოს „შესანდობარი“ ესიამოვნა, მოტრიალდა და იოველს გამოჰყვა.

მიყრუებულ სოფელში მოდიოდა ტრაქტორი... მეხანიკი აძაყად მართავდა და თითქოს განგებ ახმაურებდა.

მისი ხმა იქაურობას სძრავდა და ძაღლებს აყეფებდა. ხალხი ყიჟინით უკან მოსდევდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტრაქტორი სამმართველოს წინ გაჩერდა.

მეხანიკის პატივსაცემად გლეხებს გამოეტანათ: პური, ყველი, მწვანილი... კიდევ მოჰქონდათ აქეთ-იქით უბნებიდან სალფეტკში შეკრული ხორაგი: მოხარშული ქათმები და მშრალი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე გლეხმა ტიკჭორებით ღვინოც მოიტანა; უბრალო საუზმე ტრაქტორის გვერდით, ხის ქვეშ, ხალხურ დღეობად გადაიქცა.

მეორე დღეს, დილით ადრე უნათებლივ, ანჯიქოს და იოველს ცხრა უღელი გუთნეული გაეჭიმათ, მოეშველებინათ თავიანთი ნაცნობი და ნათესავები და ხნავდნენ.

ანჯიქო თვითონ გუთნის დედათ დამდგარიყო, იოველი სახრეს იქნევდა და თან ოროველას დასძახოდა.

„გასწიე, ხარო, გასწიე“! წამოიძახებდა ანჯიქო და ტრაქტორს შეუკურთხებდა:

— ალბად ჯერ იმათ მეხანიკს არ უსაუზმნია, რომ ასე იგვიანებენ...

— იქნებ ჯერ ლოგინიდანაც არ ამდგარა და პირიც არ დაუბანია...

— მერე, რვა საათი უნდა იმუშაოს, რაღა უნდა მოხნას?

— მანქანით მოხნულში ღმერთი პურს არ მოიყვანს...

— „მოხნულში“? განა ან კი მოხნავენ? ნახავ, თუ ჭაობში არ დაეფლათ...

ამ ლაპარაკში იყვნენ, მოესმათ ტრაქტორის გუგუნი.

შებმულმა ხარებმა ყურები სცქვიტეს და გვერდზე გაიწიეს...

ტრაქტორი თანდათან ახლოვდებოდა და ხმაურობაც ძლიერდებოდა...

ანჯიქოს საქონელი თანდათან ფრთხებოდა... ზოგი მარცხნით იწევდა, ზოგიც მარჯვნით... პატრონები გარშემო გამალებით უვლიდნეხ და ხნულში აყენებდნენ.

მეხანიკმა, თითქოს განგებ, ტრაქტორით ანჯიქოს საქონელს გვერდზე გაუარა და ტრახტრახი დააწყებინა...

ცხრა უღელი საქონელი ერთმანეთს ეცა. მიამტვრ-მოამტვრიეს უღლები და ტაბიკები. ჯამბრები დაწყვიტეს, კამეჩები ბღაოდნენ და ქშინავდნენ... ხარები გარბოდნენ... ანჯიქო გამწარებული მეხანიკს აგინებდა. ხალხი იცინოდა.

ტრაქტორი ფართე მინდორზე გავიდა სადაც კოლექტივს მიზომილი ჰქონდა და დაიწყო ხვნა. ხუთს კვალს ერთად აბრუნებდა.

დიდი და პატარა უკან დასდევდა ჟივილ-ხივილით...

სანამ ანჯიქომ საქონელს თავი მოუყარა და ხელახლად გუთანი გაამზადა, ტრაქტორმა მინდორი გადააშავა.

— აღარ ხუმრობენ ეგ მმ... ერთხელ კიდევ შეაგინა ანჯიქომ და იოველს შეუძახა: გარეკე საქონელიო.

სანამ ანჯიქო ერთს კვალს გაავლებდა და ბოლომდე მიიტანდა, ტრაქტორი ფართე მინდორს გუგუნით სამჯერ-ოთხჯერ შემოუვლიდა.

შუადღისას ტრაქტორი ანჯიქოს ნახნავს დაუახლოვდა:

— ტრახ! ტრახ! ტრახ! და კიდევ დაუფთხო საქონელი, ანჯიქომ სახრე მოიქნია, შეიგინა და დამფთხალ საქონელს დაედევნა...

ხალხმა სიცილით მიაძახა:

— ანჯიქო! ხიდქვეშ! ხიდქვეშ!

# ღმერთისა და კაპიტალის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში დამთავრდა უღმერთოთა კავშირის მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობამ ჯამი გაუკეთა იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩატარდა საბჭოთა კავშირში ანტირელიგიურ ფრონტზე.

დღემდე ამ მუშაობას არ ჰქონია გეგმიანი ხასიათი, რადგან მასში არ იყო ჩაბმული ფართე საზოგადოებრივობა.

პირველ ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა ამ ოთხი წლის წინად, დაესწრო სულ რამდენიმე ათეული დელეგატი; მეორე ყრილობამ კი მოიზიდა უკვე 700 დელეგატი; მაგრამ არც ეს რიცხვია საკმაო. მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიანი მასები უნდა გახდნენ აქტიური უღმერთონი. ანტირელიგიურ მუშაობის საჭიროება ეჭვს გარეშეა რადგან საბჭოთა კავშირში რელიგიის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია. რელიგიის გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხი უეჭველად სოციალისტური მშენებლობის დ მზიანებელია; მათ რიგებს თავს აფარებს ყველა კონტრრევოლიუციონერი, ვისაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია იმედი ძველის დაბრუნებისა.



ამხ. ემ. იაროსლავსკი ხსნის უღმერთოთა ყრილობას



მაქსიმ გორკი უღმერთოთა ყრილობაზე

უღმერთოთა კავშირმა უნდა გამონახოს ანტირელიგიური მუშაობის ახალი გზები, ჩააბას მასში მუშათა კადრები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქტიურ უღმერთოთა შექმნას, საბჭ. კავშირის მიყრუებულ კუთხეებში; უნდა შეიქმნას უღმერთოთა უჯრედები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩაბმულ უნდა იქნას აქ მუშაობაში, უღმერთოთა კავშირი უნდა გახდეს ერთ-ერთ მებრძოლ ორგანიზაციად. მისი რიცხობრივ ზრდასთან ერთად საჭიროა მისი თვისებრივი ზრდაც.

უღმერთოთა მუშაობა უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა კავშირის კულტურულ და ეკონომიურ ზრდას.

ამ მუშაობის ძირითად ფორმებად უნდა ჩაითვალოს ლექციები, საუბრები და ლიტერატურის გავრცელება, რაც უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა, ამასთანავე დღითი დღე იზრდება ანტირელიგიური ლიტერატურის ტირაჟი.

# კარსანის მაგნიტური ობსერვატორია

## ე. ხუციშვილი

სადგურ მცხეთის სამხრეთით, იმ მთის გადაღმა, რომელიც ალმაცრივ დაკიდებულა მცხეთის თავზე მოთავსებულია კარსანის მაგნიტური ობსერვატორია.

ვისაც სურს ინახულოს ეს იშვიათი მეცნიერული დაწესებულება და გაეცნოს მის საქმიანობას, უნდა იმგზავროს ან ზაჰესიდან, ან სადგურ მცხეთიდან.

ზაჰესიდ ნ ობსერვატორიამდე მიდის საურმე გზა, მცხეთიდან კი მგზავრობა შეიძლება ვიწრო ბილიკით, რომელიც ბევრ ადგილას ძნელი სავალია.

აჰყვები ამ ბილიკს და ერთი, ან საათნახევარი სიარულის შემდეგ მოექცევი თავზე კარსანის მთას, საიდანაც საუცხოოდ მოსჩანს მცხეთის მიდამოები: ავჭალა, თბილისი, საგურამოს ველ-მინდორი და ნატახტარი, რომელსაც სჭრის ლარივით მოჭიმული საქართველოს სამხედრო გზა.

ამ მთიდან, როგორც ხელის გულზე, ისე მოსჩანს ჩვენი სიამაყე—ზაჰესი.

ამ მთის მწვერვალიდან შეიძლება ხილვა ზაჰესის მთელი სიდიადის, მთელი მისი ბუმბერაზობის.

აქედან საუცხოვოდ მოსჩანს ზაჰესის ტბა, შეუღებული მტკვარი და არაგვი, საგუბრები და რამოდენიმე ვერსის მანძილზე გაჭიმული არხი, რომელიც აწვდის წყალს ტურბინებს.

რო ესაც ამ მაღლობიდან უმზერ ზაჰესს, რწმუნდები, რომ ძლიერია ის მარჯვენა, რომელმაც შესძლო მტკვრის შებოჭვა; რწმუნდები, რომ ეს მარჯვენა, ზაჰესთან ერთად, შესძლებს სასწაულების მოხდენას მრავალ მილიონების ტანჯულთა საკეთილდღეოთ.

***

კარსანის მთის ერთ-ერთ ხევში მდებარეობს თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის განყოფილება, რომელიც ატარებს კარსანის მაგნიტური ობსერვატორიის სახელწოდებას. ეს ობსერვატორია დაარსდა გასული საუკუნის ორმოციან წლებში და პირველ ხანებში იგი მუშაობდა თბილისში.

1905 წელში, თბილისში ელექტრო-ტრამვაის გაყვანის გამო, ეს ობსერვატორია გადატანილი იქნა კარსანის მიდამოებში.

24 წელიწადია რაც კარსანის მაგნიტური ობსერვატორია აქ იმყოფება, მცხეთის მახლობლად და აწარმოებს თავის მეცნიერულ დაკვირვებით მუშაობას.

მთელ დედამიწის ზურგზე არსებობს სულ 50-მდე მაგნიტური ობსერვატორია. საბჭოთა კავშირში არის 5 ობსერვატორია.

მათ შორის კარსანის ობსერვატორიას უკავია საპატიო ადგილი და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში დაკვირვებებს მხოლოდ იგი ახდენს.

კარსანის მაგნიტური ობსერვატორიის მთავარი დანიშნულებაა დედამიწის მიგნიტობის შესწავლა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ჯერ-ჯერობით მეცნიერების ეს დარგი არ არის სავსებით გამოკვლეული და ნათელი. ყველა ქვეყნის მეცნიერები ხარჯავენ დიდ შრომას და ენერგიას, რომ ჩასწვდნენ მაგნიტოსაიდუმლოებას და მოჰფინონ მას ნათელი.

ამ მხრივ კარსანის ობსერვატორია თავისი დაკვირვებებით აწვდის მეცნიერებას მრავალ ძვირფას მასალებს.

***

მეცნიერული დაკვირვებების და სხვადასხვა მანქანების და ხელსაწყოების ჩვენების ჩასაწერად კარსანში აგებულია რამოდენიმე სპეციალური შენობა.

ვინაიდან მთავარი საგანი, რომლის საშუალებით სწარმოებს ობსერვატორიის მუშაობა არის მაგნიტი და ეს უკანასკნელი კი არ შეიძლება იყოს რკინასთან ახლო, ამიტომ კარსანის არც ერთ შენობაში არ მოიძებნება რკინის ნასახიც კი.

შენობების თვითეული აგური, თვითეული ქვა და ქვიშაც კი გასინჯულია საფუძვლიანად, რომ მათში არ იყოს რკინის ნასახი, რადგან რკინა იქონიებს გავლენას მაგნიტზე და ამ უკანასკნელის ჩვენება არ იქნება სწორი.



ობსერვატორიის მთავარი შენობა

გავლენა მაგნიტზე, რკინის გარდა, აქვს ტემპერატურასაც. ამიტომ იმ შენობებში, სადაც მოთავსებულია მაგნიტური ხელსაწყოები ყოველთვის—ზამთარს და ზაფხულს —არის ერთი და იგივე ტემპერატურა—$23^{0}$ ცელსიუსით.

ობსერვატორიის მთავარ შენობაში მოთავსებულია ობსერვატორიის თანამშრომელთა საცხოვრებელი ბინები, ბიბლიოთეკა, იარაღ-ხელსაწყოების საწყობები. აქვე არის თანამშრომლების სამუშაო კაბინეტები.

ამ შენობის აღმოსავლეთით აგებულია დიდი პავილიონი აბსოლუტური დაკვირვებისათვის. აქ დადგმულია ვილდ-ედელმანის ინდუქტიური ინკლინატორი, მაგნიტური თეოდოლიტი და დეკლინატორი, რომელთა საშუალებით სწარმოებს დედამიწის მაგნიტიზმის აზომვა — გორიზონტალური, განხრილობა და დახრილობა

ამ პავილიონიდან ცოტა მოშორებით აგებულია ე. წ. მიწისქვეშა პავილიონი მაგნიტოგრაფებისა და მაგნიტომეტრებისათვის.

ეს პავილიონი წარმოადგენს ფრიად საინტერესო შენობას. იგი შესდგება ორი დიდი მრგვალი და ერთი პატარა დარბაზისაგან და ისეა აშენებული, რომ მასში შეუძლებელია ნესტის გაჩენა. ამასთანავე, დღე-ღამის განმავლობაში, რაც უნდა არახელსაყრელი პირობები იქნეს, დარბაზებში ტემპერატურა უცვლელი რჩება.

ეს პავილიონი აშენებულია რკინისაგან სავსებით თავისუფალ მასალიდან. შენობის თვითეული ქვა და თუთიის (ცინკი) ფურცელი, რომლითაც დახურულია შენობა, შემოწმებულია სპეციალურ მაგნიტურ იარაღზე.

ქვიშა შენობისათვის მოტანილია კასპიის ზღვიდან, რადგანაც ადგილობრივი აღმოჩნდა რკინანარევი.

ამ პავილიონში, როგორც ზევით ნათქვამი იყო, დადგმულია მაგნიტომეტრები—მაგნიტური თვითმწერი იარაღები, რომლებიც აღნიშნავენ იმ ცვლილებას, რომელიც ხდება დედამიწის მაგნიტიზმის სფეროში.

ამ პავილიონის დარბაზებში ყოველთვის სიბნელეა, რადგან მანქანები თავის ჩვენებას სწერენ ფოტოგრაფიულ ქაღალდზე.

***

კარსანის ობსერვატორიის, გარდა წმინდა მეცნიერული მნიშვნელობისა, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

დედამიწის მაგნიტური ელემენტები დროთა განმავლობაში განიცდიან ცვალებადობას. ამიტომ კომპასი (ყიბლანი) ყოველთვის არ იძლევა სწორ ჩვენებას.

აი მაგალითი: პარიზში 1580 წელს მაგნიტური განხრილობა იყო აღმოსავლეთის და უდრიდა $9^{0}5$, 1662 წელს იგი უდრიდა $0^{0}0$,1810 წელს კი განხრა იყო დასავლეთის და უდრიდა $22^{0}5$, ე. ი. ადამიანი თუ კომპასის მიმართულებას გაჰყვებოდა, 1580 წელს ის პარიზიდან ნორვეგიას მიადგებოდა, 1662 წელს კი— ჩრდილო ზღვის დასავლეთ ნაწილს, ხოლო 1810 წელს—ინგლისის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილს.



დიდი აბსოლუტური პავილიონი

მაგნიტური ობსერვატორია იძლევა საშუალებას თავისი მრავალწლიანი დაკვირვებებით ყოველი ცალკე ქვეყნის და დედამიწის სწორი მაგნიტური რუქის შესადგენათ. როდესაც ადამიანს ხელთ აქვს ამა თუ იმ ქვეყნის მაგნიტური რუქა, მაშინ მას ადვილად შეუძლიან კომპასით ხელში გაიგნოს გზა და გამოარკვიოს სწორი მიმართულება.

ჩვენ ვიცით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპასს ზღვაოსნობის, ავიაციის და სამხედრო დარგში. მაგრამ თუ ავიატორს, მეზღვაურს და სხვ. ხელთ არა აქვს ამასთანავე ცნობები ამა თუ იმ ადგილმდებარეობის მაგნიტური თვისებების შესახებ, რომლებსაც იძლევა მაგნიტური ობსერვატორია, იგი გზას ვერ გაიგნებს.

ამას გარდა მაგნიტურ ობსერვატორიას აქვს შემდეგი პრაქტიკული მნიშვნელობაც: მისი საშუალებით შესაძლებელია ამა თუ იმ მიდამოს მაგნიტური აგეგმვა, ამ მიდამოს გეოლოგიური სტრუქტურის გამოსარკვევად.

მაგნიტომეტრული ხერხი რკინის, ნავთის, მარგანეცის, მარილის, ქვანახშირის და სხვა მადნების აღმოჩენის დარგში ყველაზე სწორია და ამასთანავე ყველაზე იაფი.

***

ზაჰესის აგებამ დიდ საფრთხეში ჩააგდო კარსანის ობსერვატორია, რადგან მის ელექტრო დენს აქვს უარყოფითი გავლენა მაგნიტების ჩვენებაზე. ზაჰესის გაფართოება, რკინის გზის ხაზის ელექტროფიკაცია და სხვა ელექტრო-სადგურების აგება შეუძლებლად გახდის ობსერვატორიის შემდგომ მუშაობას.

როგორც საქართველოს, ისე საკავშირო მთავრობებმა გაითვალისწინეს კარსანის ობსერვატორიის უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და საჭიროდ სცნეს ობსერვატორიის გადატანა უფრო უშიშარ ადგილას.

ჯერ-ჯერობით ასეთი ადგილი არ არის ამორჩეული.

ამ საკითხზე მუშაობენ სპეციალისტები, რომლებიც იკვლევენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს და ეძებენ შესაფერ ადგილს ობსერვატორიისათვის.

ასეთი ადგილი იქნება აღმოჩენილი და კარსანის ობსერვატორია დამკვიდრდება ახალ ბინაზე, სადაც იგი ისევე დაუღალავად განაგრძობს თავის საქმიანობას.

ობსერვატორიის მუშაობა ახალ ადგილას იქნება უფრო ნაყოფიერი, რადგან მოკლე ხანში იგი მიიღებს საზღვარგარეთიდან საუკეთესო ახალ იარაღ-ხელსაწყოებს.



მიწის ქვეშა პავილიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეკლინატორი, რომელიც ზომავს მაგნიტის განხრილობის კუთხეს.



ინდუქტიური ინკლინატორი, რომელიც ზომავს მაგნიტის დახრილო-
ბის კუთხეს. (იხ. ე. ხუციშვილის წერილი





სამ ივნისს ხელახლად ამოხეთქა ვეზუვიმ მისი ლვართქაფი წალეკას უქადის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს, განსაკუთრებით ტერჩინოს, ბოსკო-რეალეს და ბისკო ტრესკას. მეორე სურათზე ლვართქაფისაგან ნახევრად წალეკილია ტერჩინო, რომლის მცხოვრ. მოასწრო გახიზვნა.

სანდრო შანშიაშვილი.

## ბაბუა თედო

თუმცა წელში მოიხარა
და თვალებსაც ძლივს-ღა ახელს,
მაინც სიკვდილს არ აპირებს,
ყავარჯენზე დალახლახებს.

გაიღვიძებს დილით ადრე,
გააჩაღებს ჩამქრალ ბუხარს;
და ნაწყენი ამ დროებით
ჩუმად არაყს გადახუხავს.
და თან ბრაზობს: „ჩემი მიწა
ვიღაც ოხერს გადაუხნავს!“

ბუზღუნებს და უჯავრდება
ჩვენი თედო შვილიშვილებს;
რომ დარბიან სულ კრებებზე
და ადგენენ კომკავშირებს.

ეკლესიას ჯვარი მოხსნეს,
გადმოაგდეს ქრისტეს ხატი;
ღვდელს წვერები შეუკრიჭეს,
აღარც შიში, აღარც ხათრი!

თედოს მიწა ჩამოართვეს,
მისცეს „ვიღაც კოლექტიურს“
მის ვენახსაც ჩამოსჭრიან,
უტოვებენ მხოლოდ დღიურს.

ჯამაგირზე კაცი ჰყავდა,
ის უვლიდა მინდვრად ნახირს;
— ლამის ძროხა ქას აკუთვნონ,
ეს ცხოვრება აღარად ღირს!

და მისტირის ძველ დროებას,
რისხავს, წყევლის ახალგაზრდებს;
„არც ადათი, აღარც წესი,
ურჯულოებს ხალხი ასდევს!“

ერთხელ თედო გაბოროტდა,
ბორგავს გულით, ახრჩობს ბრაზი;
მჭრელი წალდი მოიმარჯვა,
გადაკაჭა ბაღში ვაზი.

დაქანცული ხის ქვეშ მიწვა,
ფეხზე აღარც წამომდგარა;
ლეში მოკვდა ბოღმით სავსე,
მიწა არვინ მიაყარა!

და ის ზვარი გადაჭრილი
დღეს იხეთქავს ახალ ყლორტებს;
გზა გაეხსნათ შვილიშვილებს,
ამაგრებენ ახალ ფრონტებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი ჯვრიდან წითელი დროშისკენ *)

## მაქს ჰელცი

თ. რგმნილი გერმანულიდან გერონტი ქიქოძის მიერ

### ქურდობის ალკვეთა

როცა პლაუენში ოჯახებს ვჩხრეკდით და იარაღს ვეძებდით, ერთ ახალგაზრდა წითელ-გვ რდიელს თავი ვერ შეეკავებია და რამდენიმე ძვირფასი ნივთი წამოეღო რომელიღაც ფაბრიკანტის სახლიდან. ფაბრიკანტმა ეს ამბავი სამხედრო უწყებას აცნობა.

განკარგულება გავეცი სა ტიკი კვლევა-ძიება მოეხდინათ, მაგრამ თავდაპირველად ეს კვლევა-ძიება უშედეგოთ დამთავრდა. მაშინ მოწოდება გამოვაქვეყნეთ მუშებისადმი: ერთი ახალგაზრდა მუშა-ქალი მოვიდა, მისთვის წითელ-გვარდიელს ბეჭედი ეჩუქებია. ამ გზით აღმოვაჩინეთ ბოროტმოქმედი. ფაბრიკანტს მისი ნივთები დავუბრუნეთ, ხოლო წითელ-გვარდიელი დავატუსაღეთ.

მეორე წითელმა-გვარდიელმა, რომელს ც ათის-თავ ს თანამდებობა ჰქონდა, ფული მოიპარა. მე იგი აღმოვაჩინე ლუდხანაში: უგონოთ მთვრალი იყო. მაშინვე გავაჩხრეკინე, მართლაც დიდი თანხა აღმოაჩნდა. გამოტყდა მოვიპარეო.

მისმა საქციელმა ისე გამაბრაზა, რომ თავი ვერ შევიკავე და მისივე თოფის კონდახით გავლახე.

ულონოთ მუხლებში ჩაიკეცა: შემეშინდა არ მოკვდეს მეთქი. მაგრამ მეორე დღეს ჩემთან გამოცხადდა. ტირილით მთხოვა: მაპატიეთ და ხელახლა მებრძოლ ჯარში მიმიღეთო. უარი ვუთხარი, რასაკვირველია. მხოლოდ ეს ორი შემთხვევა მახსოვს, რომ რევოლიუციურ ჯარისკაცებს თავიანთი კლასობრივი ვალდებულებისათვის ეღალატოსთ.

### ნიჩბიანი მ.ღურავი და ხუცები

წითელი ჯარი დღითი დღე იზრდებოდა, საჭირო გახდა შეძლებული წრეების დაბეგვრის გაძლიერება. პლაუენის მექარხნეებმა ყოველკვირეულათ ასი ათასი მარკის შემოტანა იკისრეს.

მარკნოიკირხენის გარშემო მდებარე ადგილების აღმასკომებმა დახმარების გაწევა გვთხოვეს. ეშინოდათ მარკნოიკირხელი სამოქალაქო გვარდია დაგვესხმება თავსო. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ გადავსწყვიტეთ თვით მიგვეტანა იერიში მარკნოიკირხენზე. სანამ ქალაქში შევიდოდით, მოურავს მოციქული გავუგზავნე და იარაღის დაყრა მოვსთხოვე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლის დაწყებას ვემუქრებოდი. მან მიპასუხა: ქალაქის მცველი რაზმი მზად არის იარაღი გადმოგცეთო. მაგრამ ამ პასუხის მიღებამდე ჩვენს რაზმებსა და სამოქალაქო გვარდიას შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროს ერთი შემთხვევითი მაყურებელი მოკვდა.

როცა ჩვენ ავტომობილებით ქალაქის თვითმართველობას მივუახლოვდით, შევამჩნიეთ, რომ წინსვლა შეუძლებელი იყო. სამოქალაქო გვარდიას ქუჩებში სანგრები გაეთხარა და ბარიკადები აემართა.

მაგრამ „გმირი" ბურჟუები ჩქარა მოვსდრიკეთ და ზოგიერთ მათგანს, სხვათაშორ ის თვით ქალაქის მოურავს, ორ პასტორს და სამოქალაქო გვარდიის უფროს ოფიცერს ხელში თოფების მაგივრათ ნიჩბები მივეცი: ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ მათ ორი მეტრის სიგრძე თხრილები უნდა ამოევსოთ. ამას გარდა. შეძლებულ მექარხნეებს ასიათასი მარკის შემოტანა დავაკისრე.

უკვე ცხრა თვეზე მეტი იყო გასული, რაც 1919 წლის გაზაფხულის და ზაფხულის ამბების გამო 24 ფალკენშტაინელი მუშა პლაუენის სატუსაღოში იჯდა. ნოსკეს დამქაშები მათ გასამართლებას უპირებდნენ კაპპის ამბოხების დროს. ფალკენშტაინელ მუშებს იმედი ჰქონდათ პლაუენის პროლეტარიატი გაანთავისუფლებს ამ ამხანაგებსო, მაგრამ დრო გადიოდა, და ჩვენი ამხანაგები კი ისევ სატუსაღოში ისხდნენ. მაშინ გადავსწყვიტე ისინი ძალით გამენთავისუფლებია. შუაღამისას ორმოცდაათი კაცით და სამი ტყვიისმფრქვეველით პლაუენში შევედი, სადაც 130 ათასი მცხოვრები ითვლებოდა. მაგრამ უფრო დიდი რაზმის შეყვანისა მეშინოდა: გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ სწრაფად ვიმოქმედებდი, რათა ჯარს, ჟანდარმერიას და პოლიციას, დრო არ დ.რჩენოდ.თ საქმეში ჩასარევათ.

რადგან დარაჯებმა სატუსაღოს კარები არ გააღეს, იძულებული გავხდით ძალით შეგვ ლეწა. მაგრამ შიგნით მეო. ე უზარმაზარი რკინის კარი დაგვხდა, მისი შემ. ვრევა შეუძლებელი იყო ცულდებით: ამავე დროს შეუძლებელი იყო დაყოვნებაც, რადგან ყოველ წუთში რეიხსვერის და ჟანდარმერიის გამოჩენა იყო მოსალოდნელი. ჩვენ ორ რაზმათ დავეწკრივდით, ერთი მეორეს მივეყრდნეთ და კარებს მივაწექით; რამდენიმე წუთის შემდეგ კარი ჩაიმტვრა საშინელი ხმაურით. საბედნიეროდ არავინ დაშავებულა.



**ამხ. მაქს ჰელცი**
**გრიმში არალეგალურად ცხოვრების დროს**

როცა საკანებში დამწყვდეულმა ტუსაღებმა იგრძნეს, რომ მათი განთავისუფლების წუთი მოახლოვდა, ყურთა სმენის წამღები ყვირილი ასტეხეს; გაისმა მათი სტვენა, სიმღერა, ძახილი, ღრიალი. მოირბინეს დარაჯებმაც, მათ მკვდრის ფერი ედოთ და ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ. ეგონათ შურს ვიძიებდით და დავსჯიდით ჩვენი ამხანაგების წვალებისთვის.

მე პოლიტიკური ტუსაღების სია მოვითხოვე და განკარგულება გავეცი: ახლავე კარები გაუღეთ ამ 24 ამხანაგს, ფალკენშტაინში უნდა წავიყვანოთ მეთქი. უსიტყ.ოთ შეასრულეს. ეს იყო უბედნიერესი წუთი ჩემს ცხოვრებაში, როცა თავისუფლება დავუბრუნე ამ ოცდაოთხ მუშას, რომელნიც ცხრა თვის განმავლობაში ციხეში იტანჯებოდნენ და საქმის გამოძიების დამთავრებას უცდიდნენ.

მაშინვე ავტომობილებში მოვთავსდით ჩვენი ტყვ.ისმფრ ვეველებითურთ და წასასვლელათ გავემზადეთ.

### პროკურორი, როგორც მძევალი

კინაღამ ერთი მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგება დამავიწყდა. ვიცოდი, რომ მრა.ალი ჩემი ამხანაგი დაბეზღების წყალობით იყო დაჭერილი. მინდოდა ქაღალდებიდან გამეგო, ვინ იყვნენ მოღალატეები. სატუსაღოს მოხელეებს კვლევა-ძიების საბუთები მოვსთხოვე, მაგრამ მათ მიპასუხეს, პოლიტიკური ხასიათის ქაღალდებს პირადათ მთავარი პროკურორი ინახავსო. პროკურორი იქვე ცხოვრობდა, სატუსაღოს გვერდით, მან უეჭველათ გაიგონა ჩალეწილი კარების ხმაურობა, მ გრამ არ განძრეულა. რამდენი ე ამხანაგთან ერთად მისი სახლის ჭ შკარს მივადექი და დავაბრახუნე. ცოტა ხნის შემდეგ ფრთხილათ ფანჯარა გაიღო, ჩაჩით შემკული თავი გამოჩნდა და შემკრთალმა ხმამ იკითხა: „რა გნებავთ?".

— თქვენ მთავ.რი პროკურორი ბრძანდებით?.

— დიახ, გახლავართ.

— მაშ საჩქაროთ ქვევით ჩამობრძანდით! მან მიპასუხა, ცოტა დამაგვიანდება, ტანთ უნდა ჩავიცვაო. მე ვუპასუხე: თუ ორ წუთში აქ არ. და რათა მ ს დაენახა, რომ ეს ცალიერი მუქარა არ იყო, ორი ყუმბარა მივაბი კარის სახელურს.

ორიოდე წუთიც არ გასულა, რომ პროკურორი ქვემოთ ჩამოვიდა და მაშინვე თანხმობა განაცხადა ქაღალდების გადმოცემაზე.

სასამართლოში გავყევი, სადაც საბუთები ინახებოდა.

რამდენიმე პაკეტი გადმომცა, მაგრამ შევამჩნიე, რომ უმნიშვნელოვანესი ქაღალდი აკლდა. მე ვუთხარი:

— აქ მეტი დაყოვნება აღარ შეგვიძლია, ქაღალდები კი აუცილებლად უნდა ძივილოთ. თქვენ ფალკენშტაინში მიმყევხართ როგორც მძევ.ლი, თუ რამდენიმე საათის განმავლობაში იქ ქაღალდები არ მოგვიტანეს, თქვენ თავს დავახვრეტინებ!

ძალაუნებურათ დამმორჩილდა. ავტომობილში ჩავისვი, რათა არაფერი დაშავებოდა. ასეთი გაფრთხილება აუცილებლად საჭირო იყო: იმავე წუ.ში, როგორც კი ჩვენი ამხან გები ს.კნე იდან განთავისუფლდნენ, მას შორის კამათი ატყდა; თვითეულ მათგანს უნდოდა პირადათ ეძია შური ზედ მხედველზე, რომელსაც ისინი განსაკუთრებით ეწვალებია. მე კარგათ ძესმოდა მათი გაბოროტება, მაგრამ დრო არ გვქონდა ამ უბადრუკ ჯალათებთან გასასწორებლად.

ქალაქში უკვე მოძრაობა იწყებოდა. როგორც ეტყობოდა ჩვენი თავდასხმის .მბავი უკ ე გავრცელებულიყო. მაგრამ სანამ პოლიცია და ჟანდარმერია გაჩნდებოდა ჩვენ უკვე დავსტოვეთ პლაუენის საზღვრები.

ფალკენშტაინში ენით აუწერელი აღტაცებით შეგვხვდნენ.

პროკურორისთვის კარგი საუზმე მოვატანინე საუკეთესო სასტუმროდან; სხვაფრივაც ვერ დაგვაყვედრიდა ცუდს მოპყრობას. წერილი დავაწერიე და მოტოციკლეტით მის ცოლს გაუგზავნე; ვაცნობე, თუ თორმეტ საათამდე საჭირო საბუთები არ გამოგიგზავნიათ, თქვენი მეუღლე დახვრეტილი იქნება მეთქი.

ჯერ კიდევ თორმეტი საათი არ იყო, რომ პროკურორის ცოლი გაჩნდა სასამართლოს მოხელეებთან ერთად და მოთხოვნილი ქაღალდები ჩამაბარა უკლებლივ. ამ ქაღალდებიდან გავიგე. რომ ორი კაცი, რომელნიც ჩვენს პარტიას მიეტმასნენ, პოლიციის ჯაშუშები ყოფილიყვნენ. ორივენი მაშინვე დავატუსაღეთ.

### სასამართლოს საბუთების დაწვა

ნაშუადღევს მე და ჩემი ერთი ამხანაგი ფალკენშტაინის სასამართლოში მივედით და ერთად შევკრიბეთ ყველა მოხელე, მთავარი მსაჯულიდან უბრალო დარაჯამდე. განუცხადე, რომ ხელისუფლებას მუშათა კლასი დაეპ ტრონა მეთქი. მას არ სჭირია ბურჟუაზიული კანონები, რომელიც მხოლოდ იმისთვის იწერება, რომ მუშები მათ მჩაგვრელებს დაემორჩილონ, ჩვენ თვით გავჭედთ ჩვენს კანონებს მეთქი.

მოხელეებს ვუბრძანე სასამართლოდან წიგნები დ. საბუთები გამოეტანათ და მოედანზე დაეგროვებიათ. მთავარ მოსამართლეს პირველათ ეგონა ვეხუმრებოდი. როცა შემამჩნია, რომ ხუმრობის გუნებაზე არ ვიყავი, თვალცრემლიანი მომიახლოვდა და მითხრა, მთელი ჩემი ცხოვრება ამ ქაღალდებზეა დამოკიდებულიო, ჩემი მდგომარეობა უნდა გაიგოთ, .ე ამ წიგნებში და ამ ქაღალდებში გამოხატულ შეხედულებებზე ვარ აღზრდილიო.

მე ვუპასუხე, სამწუხაროთ თქვენ პირად გრძნობე.ს ანგარიშს ვერ გავუწევ, ჩემი ყოფაქცევა მხოლოდ პატარა რგოლია მშრომელთა დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში მეთქი.

რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ მოს მართლეები და მოხელეები ჩემი ზედამხედველობის ქვეშ აქტებისა და წიგნების ზვინის ასამართავად.

როცა უკანასკნელი მტვრიანი პაკეტი გამოიტანეს, ბრძანება გავეცი [illegible] მხრიდან ცეცხლი წაეკიდებიათ ამ ზვინისათვის.

*) გაგრძელება, იხ. „დროშა" №№ 8, 9, 10, 11.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ რევოლუციის ისტორიული ვალდებულება იყო ყველგან ასეთი განწმენდის მუშაობა შემესრულებია. მიტომ რომ კანონმდებლობის ამ უამრავ პარაგრაფებში გამოიხატება კაპიტალისტური საკუთრების ურთიერთობა, რომელიც ერთ მუჭა გაბატონებულ კლასს ნებას აძლევს ფართო მასსების ექსპლოატაცია აწარმოოს. რევოლიუციამ თავდაპირველად ძველი საზოგადოების „კანონების ფიცარი“ უნდა დალეწოს.

დიდი სოციალური გადატრიალება უცებ როდი ხდება: იგი ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროს ისეთ აქტებს, როგორიც ფალკენშტაინის სასამართლოს ქაღალდების დაწვა იყო, სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს.

## იარაღის შესაძენათ

გერმანიის ყოველი კუთხიდან ფალკენშტაინს დიდძალი მუშა მოაწყდა. ისინი ფოხტლანდის წითელ ჯარში ეწერებოდნენ. ჩქარა გამოირკვა, რომ იარაღი გვაკლდა, საჭირო იყო მის შესაძენათ გვეზრუნა. ამხანაგებისაგან გავიგე, ფრანკენბერგის ყაზარმაში, ხემნიცის მახლობლად, დიდი საწყობებია ყოველგვარი იარაღისაო; საწყობებს რაიხსვერის რაზმი სდარაჯობდა, რომელიც 50 ჯარის კაცისა და ერთი ზემდეგისაგან შესდგებოდა.

მე გადავსწყვიტე ფრანკენბერგის საწყობებს დავპატრონდებოდი. ავირჩიე ოცდაათი საიმედო ამხანაგი, რომელთაც თან არავითარი იარაღი არ წამოუღიათ, გარდა რამდენიმე ხელით სასროლი ყუმბარისა, და ფრანკენბერგისკენ გავემგზავრეთ ცვიკაუსა და ხემნიცის გზით.

ცვიკაუში ჩვენმა გამოჩენამ დიდი შეშფოთება გამოიწვია.

ცვიკაუს აღმასკომმა, რომელიც სოციალ-დემოკრატებისგან შესდგებოდა ტელეფონით აცნობა ხემნიცს, საშიში ადამიანი—მაქს ჰელცი თავისი ხალხით ხემნიცისკენ მოდის, რათა მაქაური აღმასკომი დაატუსაღოსო.

ხემნიცის სადგურში შუცმანების არმია შემოგვერტყა გარს; როგორც სჩანს თვითეულ მათგანს სულით და გულით უნდოდა იმ 30 ათასი მარკის მიღება, რომელიც ჩემი თავის ფასათ იყო გამოცხადებული საქსონიის მთავრობის მიერ.

ასეთმა შეხვედრამ საშინლად გამაოცა, მიტომ რომ ხემნიცის აღმასკომი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას ედგა სათავეში, მემარჯვენე სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან შე.დგებოდა პარიტეტის საფუძველზე. ამ აღმასკომში ჩემი პარტიული ამხანაგი ჰაინრიხ ბრანდლერი ასრულებდა ხელმძღვანელ როლს. ვერ გამეგო, როგორ ბედავდნენ ამ პირობებში ხემნიცის პოლიცი.ს ორგანოები ასეთი თავხედობის გამოჩენას.

შუცმანებმა ჩემი დატუსაღება განიზრახეს. როცა მა. ი რაზმი გარს შემომერტყა, მე დავიძახე: „აბა, ამოიღეთ ყუმბარები!“

ამ სიტყვებმა ჯადოქრული შთაბეჭდილება მოახდინა. სამი თუ ოთხი ყუმბარის დანახვაზე პოლიციელებმა მოჰკურცხლეს თავპირის მტვრევით.

რათა ხემნიცში კიდევ მეტი აღელვება არ გამოგვეწვია, ჩვენ გადავსწყვიტეთ სადგურზე მატარებლისთვის აღარ დაგვეცადა და ქვეითათ წავსულიყავით ფრანკენბერგისაკენ. თხუთმეტი წუთის შემდეგ საშინელი სროლა აგვიტეხეს უკანიდან.

ერთი კილომეტრის მანძილზე შუცმანების და სამოქალაქო მილიციის რაზმები მოგვყვებოდა ფეხდაფეხ და ჩვენი რაზმის გარშემორტყმას სცდილობდა. თუმცა კარგად იყვნენ შეიარაღებული, მაგრამ მოახლოებას მაინც ვერ ბედავდნენ, შორიდან გვდიეს ფრანკენბერგამდე.

როგორც შემდეგ გამოირკვა ხემნიცელებს ტელეფონით დაეშინებიათ მეზობელი დაბა-ქალაქების პოლიცია და სამოქალაქო მილიცია, რომ ჰელცს სურს ფრანკენბერგის მახლობლად დაბანაკებული რუსი ტყვეები გაანთავისუფლოსო. მაგრამ ამ თავდასხმების მიუხედავათ ჩვენ მაინც მივაღწიეთ ფრანკენბ რგამდე, სადაც ადგილობრივმა აღმასკომმა გულთბილათ მიგვიღო.

ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე წინ შეეგება ხემნიცელი პოლიციელების და მილიციელების რაზმს და განუცხადა, რომ ჩვენ ფრანკენბერგის მუშათა კლასის მფარველობის ქვეშ ვიმყოფებოდით. თუ ხემნიცელებმა გაჰბედეთ და ქალ... საზღვრები გადმოლახეთ, ფრანკენბერგელი მუშები ჰელცის რაზმთან ერთად წინააღმდეგობას გაგიწევთო. ამ განცხადებამ ხემნიცელები დიდათ შეაშფოთა.

მათ ეგონათ, რომ ფრანკენბერგის აღმასკომიც ჩვენ წინააღმდევ იქნებოდა. იმედ გაცრუებული დაბრუნდნენ ხემნიცში.

## შეხვედრა ბრანდლერთან

ერთი საათის შემდეგ ფრანკენბერგში ბრანდლერი მოვიდა ავტომობილით და მთხოვა ხემნიცში გავყოლოდი, რათა იქაური აღმასკომისთვის ჩემი მოქმედების მიზანი ამეხსნა. ერთმა გარემოებამ გამაკვირა: ბრანდლერმა ხემნიცში შესვლის წინ მთხოვა აღმასკომს ნუ გაუმხელ, რომ ფრანკენბერგში იარაღის საშოვნელად მოხვედიო; სთქვი თითქო ტანისამოსის და ფეხსაცმელის ყიდვა გინდა შენი რაზმელებისთვისო.

ამ მოლაპარაკების დროს ბრანდლერი მარწმუნებდა, სავსებით ვამართლებ შენს მოქმედებას ფოხტლანდშიო; დიდათ მოხარული ვარ, რომ ასე გაბედულათ იქცევით ფალკენშტაინშიო და სხვა.

ხემნიცში ვიგემე იქაური აღმასკომის რევოლუციური ენერგიის ნიმუში. იგი არც კი სცდილიყო პოლიციისთვის ხელი შეეშალა, როცა სადგურზე შუცმანების რაზმები გამოეგზავნათ ჩვენს „შესახვედრათ“. საზოგადოთ ხემნიცის აღმასკომის გულგრილობა მხოლოდ ფოხტლანდის მუშების რევოლუციონურ აქტივობას შეეშფოთებია. იმ დროს როცა ჩვენ ვმოქმედობდით, ხემნიცის აღმასკომი დაუსრულებელ კონფერენციებს აწყობდა, სადაც უხერხემლო ბელადები გრძელ სიტყვებს ლაპარაკობდნენ და გრძელ რეზოლუციებს ღებულობდნენ.

## რევოლუციური მდგომარეობა

ამ დროს რურის ოლქში მუშათა კლასი აწარმოებდა არა მარტო მოგერიებითი ბრძოლას კაპპის და ლუტვიცის წინააღმდეგ, არამედ შეტევასაც ხელისუფლების დასაპყრობათ.

მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრში პროლეტარიატის განწყობილება უაღრესათ რევოლუციური იყო. მასსები ბელადებზე ძლიერს ზეგავლენას ახდენდნენ და თვით სოციალ-დემოკრატიული საოლქო კომიტეტები იძულებულნი გახდნენ ისეთი ლოზუნგები შეემუშავებიათ, რომელიც მასსათა რევოლუციურ ნებისყოფას შეეფერებოდა. მაგალითად ქვედა რეინის სოციალდემოკრატიულმა საოლქო კომიტეტმა ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომელიც უწინარეს ყოვლისა „პროლეტარიატის პოლიტიკური დიქტატურის დამყარებას მოითხოვდა საბჭოთა სისტემის საფუძველზე სოციალიზმის გამარჯვებამდე“.

ხემნიცელმა სოციალ-დემოკრატებმაც გამოაქვეყნეს პროკლამაცია, სადაც მილიტარისტთა კამარილიის დიქტატურას პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილება უპირდაპირდებოდა.

რასაკვირველია, ამ რევოლუციურ ლოზუნგებს სოციალ-დემოკრატიის მეთაურები სერიოზულად არ უცქეროდნენ, მაგრამ მათში მაინც ნათლად გამოსჭვივოდა იმ მასსების განწყობილება, რომელნიც სულით და გულით რევოლუციისკენ მიისწრაფოდნენ. და ამ მასსიურ სულიერ განწყობილებას ეთანხმებოდა ის რევოლუციური აქტები, რომელსაც ფოხტლანდის პროლეტარიატი ახდენდა ჩემი ხელმძღვანელობით. სხვა არა იყოს რა ჩვენ პროლეტარული ვალდებულების გრძნობა გვიკარნახებდა ძმურათ დამხმარე ხელი გაგვეწოდებია რურის ოლქის მებრძოლ მუშებისთვის.

ვინც დღეს იმ დროინდელ მდგომარეობას გონების თვალით გადახედავს, ნათლად დაინახავს, რომ კაპპის აჯანყების დროს რევოლუციის გასამარჯვებლად გერმანიაში ერთი აუცილებელი პირობა გვაკლდა: არ არსებობდა მტკიცე დისციპლინით გამსჭვალული, ფოლადივით შემოსხმული, ნათელი მიზნებისთვის მებრძოლი კომუნისტური პარტია. თვით ჩვენი მოქმედება ფოხტლანდში შერყვნილი იყო ყალბი წარმოდგენით: ჩვენ გვეგონა რომ რევოლუციის საბოლოოთ გასამარჯვებლად საკმაო იყო თავდადებული რევოლუციონერების მცირე რაზმი, რომელიც მასსათა სულიერ განწყობილებას ენერგიული მოქმედებისთვის გამოიყენებდა, როგორც ამას ფოხტლანდში პირადათ მე ვშვებოდი.

## ბრანდლერის, ტალჰაიმერის და ლევის ოპორტუნიზმი

ასეთივე საბედისწერო ილუზიები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლისა, ასეთივე ყალბი წარმოდგენა ცალკე პირების რევოლუციურ აქტივობაზე ჰქონდა გერმანიის კომპარტიის მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტს (ტალჰაიმერს, ლევის და სხ.) და ხემნიცის საოლქო კომიტეტის მეთაურს ბრანდლერს. მათ ვერ გაეგოთ, რომ რევოლუციურ პარტიას რევოლუციური ბრძოლების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ხელმძღვანელობის გაწევა, თუ თავისი მიზნები და ტაქტიკა ნათლად აქვს გამორკვეული; იმის მაგივრად რომ სათავეში ჩასდგომოდნენ მუშათა კლასს და ფართო მასების ნდობა მოეპოვებინათ, ბრანდლერი და ცეკისტები სოციალ-დემოკრატებს შესცქეროდნენ და თავიანთ მოქმედებას მათს ტაქტიკას უფარდებდნენ.

ზედმეტია იმის ლაპარაკი, რომ მთელი პარტია არაა პასუხისმგებელი იმ დროს ჩადენილი შეცდომებისთვის. მაშინაც პარტიაში მუშათა კლასის საუკეთესო რევოლუციური ელემენტები იყვნენ თავმოყრილი, მაგრამ ამ აქტიურ, დაწინაურებელ ელემენტებს (რომელთა რიცხვს უცილობლად ფოხტლანდის პროლეტარიატის ავანგარდიც ეკუთნოდა) აკლდა იდეოლოგიური გაწვრთნა, რომელიც მას შეაძლებინებდა პარტიის კურსი გაესწორებინა და ბელადების ოპორტუნისტული პოლიტიკა თანმიმდევარი ბოლშევიკური პოლიტიკით შეეცვალა.

## ბრანდლერი აღიარებს თავის გაკოტრებას

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების ოპორტუნისტული პოლიტიკისთვის დიდათ დამახასიათებელია სრული გაკოტრების აღიარება, როგორც ეს ბრანდლერმა ჩაიდინა თავის ბროშურაში:—ჩვენ ზურგი შეგვაქცია მუშათა კლასმა მთელს სახელმწიფოში, ჩვენ ზურგი შეგვაქცია დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატიამ საქსონიაში, ჩვენს წინააღმდეგ მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიამ საქსონიაში და კერძოთ ხემნიცში, და ბოლოს არაფერი დაგვრჩა გარდა იმისა, რომ მდგომარეობას შევრიგებოდითო.

ამ სიტყვებში ნათლათ სჩანს, რომ უკუღმართ ილუზიებზე იყო აგებული ბრანდლერის პოლიტიკა. მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ წინააღმდეგობა გაუწია, რომ დამოუკიდებლებმა რევოლუციას უღალატეს. მასში იმ ფაქტებმა, რომელიც ნამდვილი კომუნისტი ბელადისთვის თავისთავად საგულისხმო უნდა ყოფილიყო, ისეთი გაოცება გამოიწვია, რომ მეტი არაფერი დარჩა გარდა „მდგომარეობასთან შერიგებისა“.

## ტალჰაიმერის უმწეობა

პირველი პროკლამაცია, რომელიც 1920 წ. მარტში გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სრულიად გაუგებარ პაროლებს შეიცავდა: „ჯერ კიდევ დრო არ მოსულა მილიტარული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებათ. ეს დრო მოვა, როცა მილიტარული დიქტატურა ნიღაბს ჩამოიხსნის. ფართო მასსები მხოლოდ მაშინ გაეცნობიან ამ დიქტატურას, როცა მუშების ზურგზე მათრახების მაგივრათ მორიელები ამოძრავდებიან, როცა ჩვენს ქვეყანაში რკინის მუშტი აიმართება, ხოლო საზღვრებზე ომის საფრთხე წამოჰყოფს თავს“. მუშათა კლასს წმინდა პროპაგანდისტული ლოზუნგებით უნდა ებრძოლა: „ძირს მილიტარული დიქტატურა! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს გერმანიის კომუნისტურ საბჭოთა რესპუბლიკას“!

თვით პოლიტიკურათ გაუწვრთნელ ადამიანს ასეთი პროკლამაცია უეჭველათ უგუნურების ნიმუშათ ეჩვენებოდა. ყოველ სტრიქონში

ერთი მეორის მოწინააღმდეგე ლოზუნგები იყო მოცემული: ნუ იბრძოლებთ მილიტარული დიქტატურის წინააღმდეგ! ჯერ კიდევ დრო არ დამდგარა პროლეტარიატის დიქტატურისთვის, მაგრამ იბრძოლეთ გერმანიის კომუნისტური საბჭოთა რესპუბლიკისთვისო. ხელს ნუ გაანძრევთ პროლეტარული დემოკრატიისთვის, მხოლოდ როცა მონარქისტული გენერლები ყველა რევოლიუციონერ მუშას დახვრეტენ, ცენტრალური კომიტეტი სამოქმედო ლოზუნგს მოგაწოდებთ მილიტარული დიქტატურის წინააღმდეგო.

თვით 22 მარტს, ცენტრალურმა კომიტეტმა გრძელი ენაწყლიანი ცირკულიარი დაუგზავნა საოლქო კომიტეტებს, ამ ცირკულიარმა ყველას გზაკვალი დაუბნია. იგი შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „ამხანაგებო, თქვენ იკითხავთ, რა პაროლებს გაძლევთ ამ მომენტში. ჩვენ დარწმუნებული ვართ და იმედი გვაქვს თქვენც გვეთანხ·ებით, რომ საბჭოთა რესპუბლიკის დასამყარებლად ჯერ კიდევ დრო არ დამდგარა. მაგრამ ამისდამიუხედავათ ჩვენ ვალდებული ვართ ამ ბრძოლიდან ყველაფერი გამოვიტანოთ, რის გამოტანაც კი შეიძლება პროლეტარიატის სასარგებლოთ. ჩვენი ვალდებულ.ბაა ჩვეხს მიზნებს მივუახლოვდეთ, რამდენადაც კი შეიძლება. მაგრამ ეს მიზნები პროლეტარიატის სიმწიფეზეა დამოკიდებული. მხოლოდ ერთი რამ ჩვენის აზრით აუცილებლად უნდა მიღწეულ იქნას: ესაა, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატის შეიარაღება, რათა მომავალი მთავრობა, როგორი სახისაც არ უნდა იყოს იგი, მუშების ხიშტებს დაეყრდნოს და არა ბურჟუაზიის ხიშტებს; აირჩიეთ მუშათა საბჭოები ყველგან, რათა მომავალ მთავრობას დაუპირისპირდეთ როგორც ორგანიზატორული ძალა. ამხანაგებო, იმედი გვაქვს, რომ თქვენ ანთებული გულით ებმებით ამ ბრძოლაში და რევოლუციურ სალამს მოგიძღვნით“.

ამ რიგათ პარტიის ცენტრალური კომიტეტი 22 მარტს მხოლოდ პროლეტარიატის შეიარაღებას მოითხოვდა და მეტს არაფერს!

## გზადაბნეული ბრანდლერი

მაგრამ იმ დროს, როცა ცენტრალური კომიტეტი მუშათა კლასის შეიარაღებას მოითხოვდა, ხემნიცის მუშათა საბჭო, რომელსაც ბრანდლერი მეთაურობდა, ხელს გვიშლიდა, რომ ფოხტლანდის მუშებისთვის იარაღი წამოგვეღო ფრანკენბერგის ყაზარმიდან. კიდევ მეტი: ბრანდლერი სოციალ-დემოკრატებისა და დამოუკიდებლების ზეგავლენით გვთხოვდა უკან დაგვებრუნებია წინათ შეძენილი იარაღი. იგივე ბრანდლერი სიტყვიერათ დიდ რევოლუციონერობას იჩენდა კაპპის აჯანყების დროს. ერთს პროკლამაციაში იგი სხვათა შორის სწერდა: „კაპიტალისტური წესწყობილების დასამხობათ საჭიროა იმ ძალმომრეობის ღონისძიებათა შეუბრალებლათ გამოყენება, რომელიც ჩვენს ხელთაა. ვინც პროლეტარიატს უკიდურესი ზომების ხმარებას უშლის, იგი მას ატყუებს. ბრძოლა სწარმოებს პროლეტარიატის დიქტატურის, კომუნიზმის დასამყარებლად“.

ასეთი უთავბოლო და უსისტემო ლოზუნგების წყალობით მუშათა კლასში საშინელი არევდარევა წარმოიშვა. ბრანდლერმა ხემნიცის მუშათა საბჭოს პლენუმზე, სადაც კომუნისტებს უმრავლესობა ჰყავდათ, განაცხადა: ჩვენ არ ვიბრძვით უშუალოთ კომუნისტური მიზნებისთვის, ჩვენ არ ვფიქრობთ დღესვე დავიპყროთ ხელისუფლებაო. (იხ. ბრანდლერის ბროშურა: „მოქმედება კაპპის ამბოხების წინააღმდეგ დასავლეთ საქსონიაში“, 19 გვ.).

იმავე პლენუმზე ბრანდლერმა მეორე სიტყვა წარმოსთქვა, სადაც სხვათა შორის განაცხადა: „ან ჩვენ მოვსდრეკთ მონარქისტების ბანდას, ან ისინი ჩვენ მოგვდრეკენ. მესამე გამოსავალი არ არსებობს. უფსკრულის პი·ას ვდგევართ და უკანასკნელ წუთამდე უნდა ვიბრძოლოთ. ეს უბრალო დემონსტრაციის საკითხი კი არა, ყოფნა არ ყოფნის საკითხია“ (იქვე, 23—24 გვ.).

ამისდამიუხედავათ, როგორც თვით ბრანდლერი აღიარებს, მან ხელი არ შეუშალა ორ ავტომობილს, რომელიც რეაქციონური ოფიცრებით დ· ნოსკეს დამქაშებით იყო სავსე, ხემნიცში გაევლო გზათ, პირიქით, „მოწმობებიც“ გამოუწერა მათ (იქ., 25 გვ.)

ბრანდლერი ამტკიცებს, ჩვენ იძულებული ვიყავით უარი გვეთქვა შეიარაღებულ ბრძოლაზე, რაკი რეინის პროვინციაში პროლეტარიატი დამარცხდაო; ხანმოკლე წარმატების შემდეგ საშინელი დამარცხება გველოდაო (იქვე 88 გვ.). მაგრამ მას ავიწყდება, ან არ უნდა გაიხსენოს, რომ რეინის პროლეტარიატის დამარცხებამდეც თითი არ გაუნძრევია, რათა საქსონიის პროლეტარიატი შეეი·რაღებია და მებრძოლი მოძმეებისთვის მიეშველებია. პირიქით იგი აბათილებდა ყოველ ჩვენს მოთხოვნას ამ მხრით. საკმაოა მისივე გულახდილი და გულუბრყვილო სიტყვების მოტანა:—თუმცა ხემნიცში ძალაუფლება ჩვენს ხელთ იყო, ვერ შევსძელით მისი გამოყენება, მხოლოდ ცეცხლის მქრობელი რაზმი შევადგინეთ ქალაქის დასაცავადო (იქვე, 69 გვ.).

## ბრანდლერი ცილს სწამებს მუშებს

ამის შემდეგ ჰაინრიხ ბრანდლერს გამბედ· ობა შესწევს სთქვას: აღდგომის დღეებში ვატტერის ჯარებმა ჯალათის როლი შეასრულეს რურის ოლქში. დანარჩენი გერმანიის პროლეტარიატი კი გულხელდაკრეფილი უცქეროდა რურის მემაღაროების სისხლის ღვრას.

ბრანდლერი ხშირად სჩივის იარაღი გვაკლდაო. ამის გვე·დით პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია მისი აღსარება: „ბრძოლის კ··იტიკულ მომენტში თერთმეტი კილომეტრის მანძი··ე ხემნიციდან ორი ჯავშნოსანი მატარებელი ··ა რეიხსვერის ათასეული იდგა. შესაძლებელი ··ყო ორივე ჯავშნოსანის ხელში ჩაგდ··ბა. მაგრამ მთელი ჩვენი გავლენა გამოვიყენეთ, რათა ამისთვ·ს ხელი შეგვეშალა“ (იქვე, 88 გვ.).

თუმცა ბ·ანდლერი თავის სიტყვებსა და მოწოდებებში რევოლუციურ მუშათა კლასს არწმუნებდა, გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებსო, კაპპის ამბოხების შემდეგ იგი ამბობს: „მუშათა კლასი თავდაცვის ბრძოლას აწარმოებდა; ნაწილობრივ იგი გამსჭვალული იყო ილუზიებით —საბოლოო მიზნები უნდა განვახორციელოთო, ნაწილობრივ კი ყოყმანობდა, გაუბედაობას იჩენდა და ყალბ, შეკვეცილ, დაუმთავრებელ ლოზუნგებს მიჰყვებოდა. ცხადია, მას ეშინოდა ბრძოლიდან გამომდინარე შედეგებისა“.

ჯავშნოსნების ისტორიიდან კარგათ სჩანს ვის უფრო ეშინოდა ბრძოლის შედეგებისა—ბრანდლერსა თუ მუშებს? არც ერთ შეგნებულ მუშას არ გამოუჩენია ა·ეთი გაუბედაობა, ორპირობა, მერყეობა. მუშები თავგანწირულათ და მედგრათ იჭრებოდნენ ბრძოლაში. და რა გასაკვირალია, რომ ბრანდლერის მსგავსი „მეთაურები“ რევოლუციური პროლეტარიატის ფართო წრეებში აღშფოთებას და გაბოროტებას იწვევდნენ.

მე აქ უფრო დაწვრილებით შევეხე ბრანდლერს. მიტომ რომ არც არალეგალური მუშაობისა და ·არც საკატორღო ციხეში ყოფნის დროს შეძლება არ მქონია მისი უკულმართი პოლიტიკის კრიტიკა მეწარმოებია. მაგრამ უკვე მაშინ, პოლიტიკური გამოცდილების უქონლობის მიუხედავათ, ჩემთვის ცხადი იყო, რომ პარტიული სახელმძღვანელო ორგანოების ოპორტუნისტული პოლიტიკა ყალბი იყო. მათ ვერ შესძლეს ვერც მასსების რევოლუციური განწყობილების, ვერც რეალურ ძალთა ურთიერთობის გამოყენება.

(გაგრძელება იქნება)

## რიონჰესი



საგუბარის აგება უკვე დასრულდა

# სრულიად საქართველოს მომღერალ გუნდების ოლიმპიადა



განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით ა/წ. 28, 29, 30 ივნისს მოეწყო სრ. საქართველოს მომღერალ გუნდების ოლიმპიადა. ორჯონიკიძის კლუბს (მუშტაიდს) აურიცხველი ხალხი აწყდებოდა. თითქმის ასეთი დიდი ბაღი ვერც კი იტევდა მსმენელთა რიცხვს და ბაღში შესავალი ქუჩებიც სავსე იყო ხალხით. 30 ივნისს შესდგა ჟიურის და საექსპერტო კომისიის სხდომა, რომელმაც ჯილდოები გაანაწილა შემდეგნაირად

**პირველი ჯილდო** მიეკუთვნა აჭარისტანის აკადემიურ გუნდს **მ. კუხიანიძის** ხელმძღვანელობით და ბათომის მტვირთავთა გუნდს **ერქომაიშვილის** ხელმძღვანელობით; აჭარის აკად. გუნდს ჯილდო მიეცა სიმღერების მხატვრული შესრულებისათვის, ხოლო ბათომის მტვირთგუნდს, ეთნოგ.-ხალხურ სიმღერების საუკეთესოდ შესრულებისათვის.

**მეორე ჯილდო** ერგო გარე-კახეთის გლეხთა გუნდს **ჯილაურის** ხელმძღვანელობით, დები **თარხნიშვილების** გუნდს, ძუკუ ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს სიმღერების შემსრულებელ გუნდს **პაჭკორიას** ხელმძღვანელობით, სამეგრელოს (ქელიძის) და ოზურგეთის (იმონიშვილის) გუნდებს და აირატუნის გუნდს (კარო ზაქარიანის).

**მესამე ჯილდო** განაწილებულ იქნა შემდეგ გუნდებს შორის: თბილისის მტვირთავთა გუნდი **მახარაძის** ხელმძღვანელობით, სახელმ. უნივერსიტეტის გუნდი **კოკელაძის** ხელმძღვანელობით, სუფსის გლეხთა გუნდი (ა. მიგრელიძის) ჭიათურის მემაღაროეთა გუნდი **სანდრო კავსაძის** ხელმძღვახელობით, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სიმღერების შემსრულებელი გუნდი **მიხ. კავსაძის** ხელმძღვანელობით და ქუთაისის პროფბიუროს გუნდი (კუხიანიძის).

**მეოთხე ჯილდო** მიეცა თვითმოქმედ წრეებს: მბეჭდავთა გუნდს **ივანოვის** ხელმძღვანელობით, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გუნდს **პაპიაშვილის** ხელმძღვანელობით და რკინის გზის საშემოსავლო ნაწილის გუნდს (ქავთარაძის)

რაც შეეხება თბილისის აკადემიურ გუნდს **კ. ფოცხვერაშვილის** ხელმძღვანელობით, რომელმაც უარი განაცხადა ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე, ჟიურის და საექსპერტო კომისიის შეერთებულმა სხდომამ დაუშვებლად სცნო აღნიშნული გუნდის მოქმედება და დაადგინა იგი დასჯილ იქნეს.

# საქართველოს სარეწაო კოოპერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა





ამ დღეებში დამთავრდა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა პირველი ყრილობა. ეს ყრილობა იმით არის აღსანიშნავი, რომ მან არსებითად შეაფასა ჩვენი სარეწაო კოოპერაციის წარმოშობის და განვითარების პირველი პერიოდი. შეამოწმა ამ დარგში ჩატარებული საამშენებლო მუშაობა და დასახა ძომავალი მშენებლობის სწორი და მიზანშეწონილი გზა



შინამრეწველ-ხელოსნობას საქართველოს მეურნეობაში ძველადაც ადგილი ეჭირა და ზოგიერთი მათგანი უაღრესად იყო განვითარებული (მაგალითად, აბრეშუმის ქსოვა,—მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში ამზადებდენ ისეთ წმინდა აბრეშუმის ქსოვილებს, რომ ამ ნაქსოვისგან შეკერილი კაბა თამამად ეტეოდა კაკლის ნაჭუჭში). ბატონ-ყმობის გადავარდნის და კაპიტალისტური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, შეიქმნა ახალი ეკონომიური საფუძველი, რომელიც ხელს უწყობდა შინამრეწველობის განვითარებას. ცნობილია, რომ მეფის მთავრობა ერიდებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად განვითარებას და ხელს უშლიდა ჩვენში ცენზიანი მრეწველობის გაფართოებას. ამავე დროს უმიწაწყლოდ დარჩა ჩვენი გლეხობის საგრძნობი ნაწილი, რომელიც იძულებული იყო გამოენახა რაიმე საარსებო წყარო. ამ გლეხობისაგან შეიქმნა შინამრეწველ-ხელოსანთა მრავალრიცხოვანი არმია.



იმპერიალისტური ომის წინა პერიოდში საქართველოში ირიცხებოდა 72—73 ათასი შინამრეწველ-ხელოსანი (ცენზიან მრეწველობაში ამავე დროს ჩაბმული იყო არა უმეტეს 40.000 კაცისა), რომლის წლიური პროდუქცია უდრიდა 57.779.000 მანეთს. საქართველოს შინამრეწველები კერძო კაპიტალისაგან მუდამ განიცდიდენ დიდ შევიწროებას და მუდამ ეძებდნენ ამ შევიწროებისაგან განთავისუფლების ფორმებსა და გზებს. ამ მიზნით აწყობდნენ შემნახველ-გამსესხებელ სალაროებს, რომლითაც ფიქრობდენ წელის გამაგრებას და კერძო კაპიტალისაგან თავის დაღწევას.

მაგრამ კერძო კაპიტალიც ფხიზლად იყო და ასეთ ორგანიზაციების სათავეში მუდამ აწყობდა თავის ხალხს, რომლებიც სალაროების საქმიანობას მიმართავდენ კაპიტალისტის სასარგებლოდ და ხელოსნების საზარალოდ. ასეთი მდგომარეობის გამო სალაროები მალე იხურებოდენ, მაგრამ მათ ნაცვლად შინამრეწველ ხელოსნები აწყობდენ ახალ და ახალ სალაროებს.

ასე გაგრძელდა მენშევიკების გაბატონებამდე. ხოლო მენშევიკების დროს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ვინაიდან არ იშოვებოდა ალარც სახსრები და არც ნედლი მასალა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში შინამრეწველ-ხელოსანთა მდგომარეობაში არ მომხდარა არსებითი ცვლილება. ამ დროს ხელისუფლების ყურადღება მიქცეული იყო უფრო დიდ მნიშვნელოვან ამოცანებზე და სარეწაო კოოპერაციის საკითხი არ ატარებდა აქტუალურ ხასიათს.



1924 წლის იანვრიდან კოოპერატიულ მშენებლობას ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი. ამ ხანებში გამოიცა პირველი კანონი სას. სამ. კოოპერაციის შესახებ. ამავე წლის ივნისში გამოიცა კანონი საკრედიტო კოოპერაციის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა შინამრეწველ-ხელოსანთათვის მატერიალურ და იდეურ დახმარების აღმოჩენას. შინამრეწველ-ხელოსანთა ხელმძღვანელობა პირველ ხანებში დაევალა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ცენტრს „წარმოკავშირს", რომელიც დატვირთული იყო თავისი პირდაპირი მოვალეობით (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის მოწყობით) და ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა შინამრეწველ-ხელოსანთა შეკავშირებას.

დღეს როდესაც საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარული სახელმწიფოს მთავარ ამოცანას შეადგენს მძიმე ინდუსტრიის განვითარება, სარეწაო კოოპერაციას ეძლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან იგი მოწოდებულია შესცვალოს მსუბუქი ინდუსტრია, შეანელოს ბაზარზე არსებული სამომხმარებლო საქონლის ნაკლებობა, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის მთლიან ინდუსტრიალიზაციას და სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

სარეწაო კოოპერაციის უახლოეს ამოცანას შეადგენს შინამრეწველ ხელოსანთა არმიის მთელი ასი პროცენტით შეკავშირება, მათი კერძო მესაკუთრული ფსიხოლოგიის გარდაქმნა და მათში კოლექტივიზმის სულისკვეთების გაღვივება, პროდუქციის გადიდება და ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება.

ნ. ტ—ძე.

სურათზე ნაჩვენებია სარეწაო კოოპერაციის სხვადასხვა დარგის ნამუშევარი.

# საქართველოს მუზეუმის კოლექციები

## ხევსურული და ფშავური აჩაჩი

### გ. ჩიტაია

ერთი შეხედვით ხევსურულ და ფშავურ აჩაჩს საქართველოს კულტურულ ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ დაკვირვება და დეტალური შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს საკმაოდ პრიმიტიული ფორმის შრომის იარაღი ქართველი ტომების უძველესი კულტურის ისტორიისათვის და ამ ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემებისათვის მრავალმხრივ საყურადღებო მასალაა.



ხევსურული აჩაჩი

ჯერ ორიოდე სიტყვა ამ სამიწადმოქმედო იარაღის ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ. ხევსურული და ფშავური აჩაჩი ტიპიური სახნავი იარაღია ფერდოების დასამუშავებლად. იგი მეტ დ შეწყობილია მთიანი მოსახლეობის ექსტენსიურ მეურნეობასთან. საჭიროე`ის მიხედვით და ადგილთან შეფარდებით აჩაჩი ერთი უღელი ხ რითაც იმუშავებს და 3—4 უღელსაც შეიბამს. როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიულები ამბობენ აჩაჩი „საცა გინდა მოხნავს“.

ჩვენი მთა-გორიან ბუნების პირობებში ეს გარემოება უმნიშვნელო როდია. მაგრამ აჩაჩი ბარშიც იხმარება ხოლმე. ხშირად ბარის მცხოვრებლებიც, განსაკუთრებით ამ მცხოვრებთა ნაწილი, აჩაჩით იოლზე გადიან. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ აჩაჩს ქართლში, კახეთში, მესხეთში და სხვაგანაც ვხვდებით. მიუხედავათ ამისა, აჩაჩს ჩვენ ხევსურულს ან ფშავურს ვეძახით, იმიტომ რომ ფშავსა და ხევსურეთში დამახასიათებელი ტიპის აჩაჩებია შენახული და თვით ხალხიც მათ განსაკუთრებულ სახელს უწოდებს—„ფშავურს“ და „ხევსურულს“.



ფშავური აჩაჩი

ფშავურ აჩაჩს აქვს იფნის მხარი, რომელიც თავთან ახრილია იმ მიზნით, რომ უღელთან კარგად მოვიდეს; მხარის ბოლო შეყრილია ტოტებიან ხელნაში ანუ ვერქვანში; ხელნა ჩადგმულია კბილა-ქუსლში; კბილაზე ჩამოცმულია სწორგვერდებიანი სამკუთხი სახის რკინის სახნისი; ფშავურ აჩაჩს აქვს აგრეთვე ხმალა, საკვეთელი და სოლები. ხნულის დასაღრმავებლად ან დასავაკებლად ამ სახნავ იარაღს ერთად-ერთი საშუალება გააჩნია, სახელდობრ: ხმლის გაგრძელებით ან დამოკლებით კბილა სახნისი ან ღრმად მოხნავს, ან პირად.

ხევსურული აჩაჩის მხარი მოხრილია კავით და თავისი ბოლოთი კ`ილაშია ჩამჯდარი. მას სახნისი, საკვეთელი და ხელნა იმგვარადვე აქვს, როგორც ფშავურ აჩაჩს, მხოლოდ ხმალა კი არ გააჩნია.

როგორც მკითხველი შ ამჩნევს განსხვავება ამ ორ სახნავ იარაღს შორის დამყარებულია მხარის, ხელნას და კბილას ურთიერთობაზე ერთ შემთხვევაში პირდაპირი მხარი გაყრილია ხელნაში, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხრილი მხარი კბილაშია ჩამჯდარი. ეს უკანასკნელი შემთხვევა ხევსურულ აჩაჩშია მოცემული, ხოლო პირველი—ფშავურში. არსებითად ამავე ტიპს ეკუთვნის ჩვენში ხმარებული გუთანიც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდ მოხსენებული აჩაჩის ორივე ტიპი საქართველოში საკმაოდაა გავრცელებული, თუმც ადგილ-ადგილ მათი ვარიაციებიც გვხვდება. ამ სახნავი იარაღების შეჯამება აქ წარმოდგენილ ტიპოლოგიურ სქემას იძლევა.

ეს ტიპოლოგიური სქემა მარტოდ მარტო ფორმალური მნიშვნელობის არ არის. საქმე იმაშია, რომ აჩაჩის ეს ორი ტიპი თავისი წარმოშობით სხვადასხვა დასაბამისაა და სხვადასხვა სახის სამუშაო იარაღებიდან მომდინარეობს. მეცნიერების აზრით ხევსურული აჩაჩის ტიპი წარმომდგარი უნდა იყოს თოხის ფორმისაგან



ძველებური ეგვიპტური თოხი

და მის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ფშავური-კი ქარჩის ფორმისაგან. ამას გარდა აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ხევსურული ტიპის აჩაჩის სამშობლოდ შუამდინარეა მიჩნეული და აქედან ვრცელდება იგი მთელ წინა-აზიაში და ევროპაში, ხოლო ფშავური ტიპის სამშობლოდ შუა-აზიაა აღიარებული და აქედან ვრცელდება იგი აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ზემოთქმულის მიხედვით ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ხევსურული ტიპის აჩაჩი სამხრეთიდან უნდა იყო საქართველოში შემოტანილი, ხოლო ფშავური ჩრდილოეთიდან. მაგრამ საკითხი ასე იოლი გადასაწყვეტი როდია. რამდენადაც საკითხი ხევსურული ტიპის აჩაჩს შეეხება, ეს ჰიპოტეზი დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ისტორიის მიხედვით ქართველი ტომები საქართველოში სამხრეთიდან კაპადუკია-ვანის ტბის



ძველებური ბერძნული ქარჩი

მიდამოებიდან უნდა იყვნენ მოსული და ბუნებრივი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ლტოლვილნი თან წამოიღებდენ იქაურ სახნავ იარაღს, ხევსურული ტიპის აჩაჩს.

სამაგიეროდ რთულია ფშავური ტიპის აჩაჩის შემოხიზვნის საკითხი. მართალია ეს ტიპი ჩვენ გვხვდება დაღესტნის ხალხებში, საიდანაც მისი გავრცელება აქეთაც სავსებით დასაშვებია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთის მხრით იმავე დაღესტანში ხევსურული ტიპის აჩაჩიც მოიპოება, ხოლო მეორეს მხრივ ფშავური ტიპის აჩაჩი სამხრეთითაც გვხვდება, კერძოდ მესხეთში



ხევსურული და ფშავური აჩაჩის ტიპოლოგიური სქემა

და რაც მთავარია სახნავი იარაღის ეს ტიპი დამოწმებულია უძველეს ასურეთშიც. ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, რომ ფშავური ტიპის აჩაჩიც სამხრეთიდან იყოს ჩვენში შემოსული ხევსურულ აჩაჩთან ერთად ან სხვა დროს და სხვა პირობებში. ამ შემთხვევაში საგულისხმობელია, რომ ფშავური ტიპის აჩაჩი თავის სამშობლოდან გზა ჯერ შუამდინარე-ასურეთში უნდა გაეკვალა, რომ შემდეგ სამხრეთიდან საქართველოში მოსულიყო.

ყოველ შემთხვევაში ორი შორეული ცენტრის—შუა აზიის და შუა-მდინარის, კულტურული ნასხლეტის კავკასიონის ღრატოებში ხევსუ-



ძველებური ასურული აჩაჩი

რული და ფშავური აჩაჩის სახით არსებობა და ურთიერთზე გადაჯვარედინება თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომლის ახსნა უშუალოდ დაკავშირებულია [illegible] უძველესი ხანის კულტურის სხვა მოვლენებთან. ამ მოვლენათა გორდიოზის კვანძი უმთავრესად კავკასიონის უღელტეხილშია განასკვული. კვანძის გახსნა თუ გადაჭრა შეუძლებელი არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის X პარტიული კონფერენცია





ამხ. ფილიპე მახარაძე ხსნის კონფერენციას.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. რედაქციის მისამართი—კამოს ქ. № 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი

## პარტწმენდა

— კაცო, რაშია საქმე, რატომ აღარ სვამ ღვინოს?

— დამაცადე, პარტიის წმენდამ გაიაროს და მერე მე ვიცი.

— ჰოო, კოვერკოტის კოსტიუმიც ალბად იმიტომ გამოგიცვლია.

## დაკარგული სტაჟი

— როგორაა, კაცო, შენი საქმე, წმენდაში გაგატარეს?

— გამატარეს და კიდეც „გამწმინდეს“, ეს კიდევ არ მაწუხებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტყვილა, დავკარგე ორი წელიწადი პარტიულ ძუშაობაში!

## სწორი დარიგება

— ექიმო, სად მირჩევთ წავიდე სიმსუქნის წინაამდეგ საექიმოდ?

— „წმენდა“ გაიარეთ?

— ჯერ არა!

— მაგ „წმენდის“ შემდეგ შემოიარეთ და მერე ვნახოთ—საჭირო იქნება თქვენი საექიმოთ წასვლა თუ არა!

## აღსანიშნავი ვახშამი

— ამხ. პოლიკარპ ივანიჩ! თქვენი გადაყვანის გამო დღეს ყველა თანამშრომელები გიმართავენ გამოსამშვიდობებელ ვახშამს! გთხოვთ მობრძანდეთ კლუბში!

— როგორ! ჭირივით ვეჯავრებოდი ყველას და ვახშამს მიმართავენ?

— დიახ! სწორედ რომ თქვენი წასვლა იმდენათ სასიამოვნოა ყველასათვის, რომ...

## ფასიანი აგარაკი

— რა ღირს, ამხანაგო, ეს ოთახი?

— ხუთასი მანეთი მთელი სეზონი!.

— რაო? ასე ძვირი? სახურავი ამას არ უვარგა და კედლებშიც ქარი თავისუფლად შემოდის!

— სწორედ იმიტომაა ძვირი, მოქალაქევ! ყოველ მხრიდან უბერავს და იმიტომ გრილია!

## ფიქრი მომავალზე

— რამ მოგაწყინა, პარმენ?

— მეხუთე შვილი შემეძინა!

— ჰოო! ალბათ მოვლა — შენახვაზე თუ დარდობ?

— არა! მე ის მაწუხებს, რომ ჩემს დაწესებულებაში იქნებ ამდენი ადგილი არ დამირჩეს მათთვის.

## „გულუხვი“ მასპინძელი

— თქვენ ისე გვიმასპინძლდებით ასე გონია საკუთარი მაღაზია გქონდეთ!

— საკუთარი თუ არა, კოოპერატიული ხომ მაქვს!.

(„პროჟექტორ“).

## დაამშვიდა

— ექიმო, ჩქარა უშველეთ ჩემ მდგმურს თორემ საცაა ფეხებს გასჭიმავს...

— ნუ გეშინია, ის ისეთ პატარა ოთახში სცხოვრობს, რომ ძალიანაც უნდოდეს—ფეხებს ვერ გასჭიმავს.

## ყბების მტვრევა

— კაცო,. რატომ ჩვენს კლუბში აღარ დაიარები?

— არა, ძმაო, დასამტვრევი ყბები არა მაქვს.

— როგორ? იქ ვინ გამტვრევს ყბებს?

— არავინ,—მთქნარება ამივარდება ხოლმე.

## „მეცნიერული“ თვალსაზრისი

— ექიმო, თქვენ სასტიკად მოსტყუვდით, რომ მითხარით ორ-სამ დღეში მოკვდებით.

— არ შეიძლება, შევსცდი?

— აი ხომ ხედავთ, ცოცხალი ვარ!

— ეგ არაფერია, შეიძლება თქვენ ცოხალი ხართ, მაგრამ მეცნიერულის თვალსაზრისით, თქვენ უკვე მოჰკვდით...

## „საპატიო პირის“ მოყვარული



— რას შვრებით, იაგორ ფომიჩ! სარკეში თქვენს თავს სალამს აძლევთ?

— დიახ! თანამდებობის კაცს დიდს პატივს ვსცემ!

## სამართლიანი საყვედური

— ხუთი წელიწადია ვმსახურობ და ჯერ არ დამისვენია!

— სად მსახურობ?

— დასასვენებელ სახლში!

## სიკვდილშიც არ იშორებს!



— მოითმინეთ, ამხანაგო! სახლში კაბინეთის გასაღები და პორტფელი დამრჩა, გთხოვთ მომიტანოთ!

## კონსერვატორების ცოლები

— ამბობენ შენი ქმარი ძალიან დაიღალა ამ არჩევნებთან დაკავშირებით?

— დიახ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც არჩევნებმა იქონიეს მასზე გავლენა და არა მან არჩევნებზე.

## ალიმენტის იშკილი

—საინტერესოა, რა მიზით არის მოგონილი ლეგენდა უბიწო ჩასახვის შესახებ?

—ეგ იმიტომ, რომ ღვთისმშობელისათვის ალიმენტები არ მიეცათ.

(„ჩუდაკ“)

## იოლი საშუალება



— რას შვრები, ადამიანო, ამ ლაფში რომ ჩაწოლილხარ?

— ჩვენმა ექიმმა მითხრა: ტალახის ვანები მოგიხდებაო და ამდენი ტალახი სხვაგან სად იქნება?

## აგარაკზე

— როგორ, კაცო, ამ მშვენიერ აგარაკზე ჩამოსულხარ და ეხლა ისევ თბილისში ჰიდიხარ დასასვენებლად ასეთ სიცხეში?

— დიახ! იმიტომ, რომ დღეს აქ ჩემი ცოლი ჩამოვიდა!

3/ტ მი-5-ი სტამბა. გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა